პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58, ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 13—80. ექსპედ. 5—43.

დ ღ ი ს ა ს ა ს

— გაიხსნა გერმანიის კომპარტიის კონფერენცია.
— გერმანიის მთავრობის შედგენა კვლავ მარქს მიენდო.
— იტალიის შრომის კონფედერაცია ციამ მოახდინა ლიკვიდაცია.
— ჩეხო-სლოვაკიაში მოელიან სამთამადნო მუშების გაფიცვას.
— გერმანიის მშრომელთა ალმასკომის მიმართვა გერმანიის მშრომელთ
— ჩერჩილი ჩავიდა რომში, სადაც მოლაპარაკება ჰქონდა მუსოლინთან.
— პოლონეთში დააპატიმრეს ბელორუსების გრომადის სამი დეპუტატი.

სამშაბათი, 18 იანვარი 1927 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 13 (1768)

თბილისის პარტკონფერენციის შედეგები

[illegible]

ამ კავკასიის პარტორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანო — საოლქო კომიტეტი.

რა გამოირკვა მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათიდან?

პარტორგანიზაცია გაიზარდა, განმტკიცდა, გაჯანსაღდა, მუშათა აქტივობა იზრდება, პროლეტარული მასების მონაწილეობა ჩვენს მუშაობაში ფართოვდე-... ლიუციები იძლევიან სამუშაო გეზს არა მარტო თბილისის პარტორგანიზაციისათვის. პარტკონფერენციის მითითებებით ისარგებლებენ სხვა ადგილობრივი ორგანიზაციებიც, შინაპარტიული დემოკრატიის კიდევ მეტი გაშლით, პარტიული რიგების კიდევ მეტი შემჭიდროებით, უფრო მტკიცედ და ამ გზით წარმართავენ ისინი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობის საქმეს.

სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები ჩვენში

ჩვენი ახალი სოფლის ცხოვრებაში არის ერთი მხარე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ... მოების დაყენების საქმეს, რის გამოც სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ...

[illegible]

...ტელების დიდ ნაწილს არც წესდება ქონდათ, არც რაიმე დებულება, არც მათი რეგისტრაცია სწარმოებდა, არც წევრთა შერჩევას ჰქონდა ადგილი, და ყოველივე ამას შედეგათ მოჰყვა მრავალი კოლექტივის დაღუპვა.

ცხადია, რომ მხოლოდ კერძო მეურნეობის წარმოებას საუკუნოებით მიჩვეული გლეხობისათვის არც ისე ადვილია კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობა, ძველ ადათებზე და ტრადიციებზე ხელის აღება. ამასთანავე ერთად მიწადმოწყობის ჩაუტარებლობაც მრავალ არტელს და კომუნას უშლის ხელს მუშაობაში, ვინაიდან მიწის ხარვეზობის და დაქუცმაცების პირობებში ძნელია საერთო მეურნეობის წარმოება. არც კრედიტის საკითხი იყო მოწესრიგებული, თუმცა ზოგიერთი კომუნა და არტელი უკვე დავალიანების გამო, დაღუპვის საფრთხის წინაშე იმყოფებიან. არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ანგარიშწარ-...

ჩვენში ასეთი ყრილობის მოწვევის ცდა დღემდე არ ყოფილა. ეს აიხსნება უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყოფილი ცენტრის წარმოკავშირის სისუსტით და დაღუპვით. თვით კი ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები ქონებრივათ და აგრეთვე მომზადებული ძალებით იმდენათ სუსტი არიან, რომ ყრილობის მოწვევის ინიციატივას ვერ იკისრებენ. ამიტომ ეს საქმე ისევ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ახლად დაარსებულმა ცენტრმა „სოფლის კავშირმა“ უნდა იკისროს. მართალია, „სოფლის კავშირი“ ორგანიზაციული ჩამოყალიბების პერიოდში იმყოფება და ჯერ კიდევ არ მოეპოვება საჭირო საშუალებები და ძალები, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების მდგომარეობის გამორკვევას და მათი ხელმძღვანელობის მოწესრიგების მეტი დაყოვნება შეუძლებელია.

ი. ბ.

ეხლა საქმისაკენ

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი).

დასრულდა მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია. მოსკოვის საუკეთესო ხალხმა—მოსკოვის და მისი გუბერნიის პროლეტართა ავანგარდის ავანგარდმა დაასრულა თავისი მუშაობა.

მე-15 საგუბერნიო პარტკონფერენცია მართლაც შეიძლება განვიხილოთ როგორც თავისებური საფეხური მოსკოვის ორგანიზაციის და ჩვენი პარტიის ისტორიაში. მოსკოვის კომუნისტების კონფერენცია არის ის საზღვარი, რომელიც აღნიშნავს დაჭიმულ შინაპარტიულ ...

...ბაში ბოლშევიკურად შევასხათ ხორცი. ახლა დირექტივებიდან უნდა გადავიდეთ მათ განხორციელებაზე. ახლა გააფთრებული ენერგიით, მთელი ძალ-ღონით უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ პარტიის არც ერთი გადაწყვეტილება არ დარჩეს ქაღალდზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველდღიური პრაქტიკა, მტკიცე, შეუპოვარი, წვრილმანი მუშაობა ამჟამად სწყვეტს ყველაფერს.

კონფერენციის რეზოლიუციები უნდა განხორციელდეს ...

[illegible]

საბჭოთა პრესა

დაწინაურებულთა თვისობრივი შერჩევა

უპარტიო გლეხობის საზოგადოებრივი აქტივობა წლიდან-წლამდე იზრდება. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ამ აქტივობის გაშლა და მოქცევა საბჭოთა კალაპოტში. ამ მხრივ საბჭოების მომავალ არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საჭიროა უპარტიო გლეხობის მასსის ფართედ ჩაბმა საარჩევნო კამპანიაში და კერძოდ მისი მოწინავე ელემენტების მოზიდვა საბჭოების ხელმძღვანელ მუშაობაში. აქ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დაწინაურებულთა სწორ თვისობრივ შერჩევას. ამის გამო „ბედნოტა“ წერს:

„დაუშვებელია, რომ დაწინაურება მხოლოდ საპარადო ცერემონიალად იქცეს, როცა უმთავრესად იმაზე ზრუნავენ, რათა პრეზიდიუმის მაგიდას ამშვენებდეს გლეხის ფიგურა ან გლეხ ქალის თავსაფარი. ასეთი დაწინაურება ნიშნავს გარეგნული ეფექტით გატაცებას. მრავალ შემთხვევაში არ სჩანს მეცადინეობა—უპარტიო მასსიდან ამოკრიფონ და დააწინაურონ ნამდვილად უფრო შეგნებული, ნიჭიერი, მოწინავე ელემენტები. ხშირად ეს აიხსნება იმით, რომ ადგილობრივი პარტორგანიზაციები ძალიან მცირედ არიან [illegible] საბჭოთა საზოგადოებრივობის უფრო აქტიურ წრეებთან, ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რომ ყოველდღიურ მუშაობაში უფრო მჭიდროდ დაუახლოვდენ ამ წრეებს. უკანასკნელ ორ წლის განმავლობაში დაწინაურება ჩვენში რიცხვობრივად იზრდება. ეს კარგია, მაგრამ საჭიროა ვიფიქროთ საქმის თვისობრივ მხარეზედაც. დაწინაურებულნი უნდა წარმოადგენდენ გლეხობის საუკეთესო ელემენტებს, რომელნიც სარგებლობენ უდავო საზოგადოებრივი ნდობით და ავტორიტეტით, და რომელთაც, მეორე მხრივ, გამოიჩინეს თავი როგორც საბჭოთა წყობილების იდეების და ლოზუნგების გულწრფელმა და კეთილსინდისიერმა გამტარებლებმა, როგორც ღარიბ გლეხობის მედგარმა დამცველებმა, როგორც ახალი სოციალისტური სოფლის თავდადებულმა მშენებლებმა“.

როდესაც ვლაპარაკობთ დაწინაურებულთა შემადგენლობის თვისობრივ მხარეზე, ყურადღება უნდა მიექცეს რათა უპარტიო მოწინავე პირის ნიღაბ ქვეშ არ გაძვრეს საპასუხისმგებლო სამუშაოზე კულაკის აგენტი, საერთოდ ანტისაბჭოთა ელემენტი. ასეთი, „ცხვრის ტყავში გახვეული მგლები“ შეუბრალებლად უნდა იქნენ მხილებულნი.

[illegible]

მოსკოვი, 17 იანვარი.

გენსაბჭო ცდილობს თავის გამართლებას

მაკდონალდ-ტომასები მუშებს დისციპლინისაკენ მოუწოდებენ

ინგლისი ჩინეთში სამხედრო ფლოტის ახალ ესკადრას გზავნის

უნგრეთის სასამართლომ ამხ. რაკოშის 8½ წლის ციხე მიუსაჯა

მოღალატეთა ანგარიში

ლონდონი, 16 იანვარი. ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ორგანო „სენდეი უორკერ“ აქვეყნებს გენერალურ საბჭოს საიდუმლო ანგარიშის ტექსტს, რომელიც უნდა წარედგინოს 20 იანვრისათვის დანიშნულ პროფკავშირთა ალმასკომების კონფერენციას.

„სენდეი უორკერ“-ის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი შეიცავს უმეტესად ყველასათვის ცნობილ ფაქტებს 1926 წლის 14 მაისიდან 1927 წლის 5 იანვრამდე.

ერთად ერთ ახალ მომენტს წარმოადგენს გენერალურ საბჭოს საჩივარი იმის შესახებ, რომ მემაღაროეთა სრულიად ინგლისის ფედერაციამ მას არ გააცნო ეკლესიის მსახურთა კომპრომისული პირობები (ქვანახშირის მრეწველობაში შექმნილ კონფლიქტის მოსაგვარებლად).

ანგარიშის საბოლოო ნაწილში ნათქვამია:

„ზემოდ მოყვანილი ფაქტები წარმოადგენენ ინგლისის პროფმოძრაობის ყოვლად სტიქიურ ცდას ისეთი მსხვერპლი გაეღო თავისი წევრების ნაწილის ინტერესების გულისათვის, რომლის მსგავსი ამ მოძრაობის ისტორიას არ ახსოვს. ეხლა სისწორით შეუძლია იმის გამორკვევა, თუ რამდენად შეეფერებოდა პროფესიონალურ მოძრაობის მიერ მიღებული სარგებელი იმ მსხვერპლს, რომელიც ამისათვის საჭირო შეიქნა. გენერალურ საბჭოს იმედი აქვს, რომ მისი მომხრე პროფკავშირების ალმასკომებში მოიწონებენ საბჭოს მუშაობას მთელი ამ კრიტიკული პერიოდის განმავლობაში.

როგორც სჩანს, კონფერენციაზე იმ ამბების გარჩევის დროს, რომელთაც ადგილი ჰქონდა საყოველთაო გაფიცვის დროს (ე. ი. 14 მაისამდე), გენერალური საბჭო გამოიყენებს ბრომლეის არგუმენტაციას (რომელიც მან განავითარა „ლოკომოტივ ჯორნალ“-ში მოთავსებულ წერილში).

მოწინავე წერილში „სენდეი უორკერ“ გამოსთქვამს აზრს, რომ ალმასკომების კონფერენციაზე ბევრი დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ მემაღაროეებმა, რომლებმაც უარი სთქვეს გენერალურ საბჭოს გადაწყვეტილების მიღებაზე საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტის შესახებ, დაარღვიეს პროფესიონალური დისციპლინა.

გაზეთი ამხილებს ამ თვალსაზრისს და აცხადებს: **„სწორედ ის ლაჩრები, პანიკიორები, რომელთა ბრძოლის ველიდან გაქცევამ ქაოსი შექმნა მუშათა რიგებში, ეხლა პირველ რიგში გამოდიან და ლაპარაკობენ დისციპლინაზე“.**

ჩინეთი და იმპერიალისტები

ინგლისელების ტრაბახობა

ლონდონი, 16 იანვარი. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებული „დეილი ტელეგრაფ“ მოწინავე წერილს უძღვნის შანხაის დაცვის საკითხს. წერილში, რომელიც მეტად მკაცრი კილოთი არის დაწერილი, ნათქვამია, რომ შანხაიში ინგლისის დროშა უკვე აღარ მოიხსნება და არ მოხდება ინგლისელ მოქალაქეთა ევაკუაცია.

„პირველად რჩება ისეთი შთაბეჭდილება, სწერს გაზეთი, რომ უცხოეთის სახელმწიფოებს სურთ შეთანხმებულად გამოვიდენ მათი საერთო ინტერესების დასაცავად შანხაიში“. (ადს).

ინგლისელების წინააღმდეგ

პეკინი, 16 იანვარი. **მდინარე იანცზი-ცზიანის რაიონში ძლიერდება მოძრაობა ინგლისელების წინააღმდეგ. სიჩუანის პროვინციაში უცხოელთა ახალშენები ემზადებიან საევაკუაციოთ.** (ადს).

იაპონია და კანტონი

პეკინი, 16 იანვარი. იაპონელი დიპლომატი საბური, იაპონიის წარმომადგენელი უცხოელთა ექსტერიტორიალობის უფლებების დამცველ კომისიაში, კანტონიდან გაემგზავრა შანხაიში. **მისი მიზანია კვლავ ჩავიდეს ხანკოუში და ნანჩანში და შეხვდეს კანტონის მთავრობის წარმომადგენელს და სამხრეთის ძალების სხვა წინამძღოლებს.** (ადს).

იაპონიის პოზიცია

ტოკიო, 16 იანვარი. იაპონიის პრესს კომენტარიებს უკეთებს ჩინეთში შექმნილ მდგომარეობას და **საერთოდ უარყოფითად უყურებს ინგლისის მემორანდუმს და შეიარაღებულ ინტერვენციას ჩინეთში მიზანშეუწონლად სთვლის.** (ადს).

იტალიის ფლოტი

ტოკიო, 16 იანვარი. **იტალიის კრეისერი „მუჯა“ წავიდა შანხაისაკენ, სადაც უკვე იმყოფება იტალიის სამი სამხედრო გემი.** (ადს).

მუშათა სოლიდარობა

ლონდონი, 16 იანვარი. ინგლისის მუშათა საბჭომ, რომელიც მიზნად ისახავს ჩინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლას, გამოაქვეყნა მუშათა პარტიის მოწოდების პასუხი ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის გამო. საბჭო აცხადებს, რომ ის მოითხოვს იმას, რომ პარტიის ალმასკომმა და საპარლამენტო ფრაქციამ პროტესტი განაცხადეს შეიარაღებული ძალების გამოყენების წინააღმდეგ იმ კრიზისში, რომელიც საჭიროებს ხალხის სუვერენულ უფლებების სრულ აღიარებას. (ადს).

ინგლისის კრეისერები

ლონდონი, 16 იანვარი. რეიტერის ცნობით, კრეისერების პირველი ესკადრა, რომელიც შედის ინგლისის ხმელთა შუა ზღვის ფლოტში, 15 იანვარს პალერმოდან გავიდა მალტაში, სადაც მოიმატებს ძალებს იმ მიზნით, რომ საჭირო შემთხვევაში მზად იყვეს ჩინეთში წასასვლელად. (ადს).

რაკოშის პროცესი

სასამართლოს კომედია

ვენა, 16 იანვარი. რაკოშის პროცესზე მეორე დღეს სასამართლოს მიერ დაკითხულ იქნა ერი, რომელმაც განაცხადა, რომ **1925 წელს დეკემბერში დაპატიმრებულ ბრალდებულების ჯანმრთელობის შემოწმება მოხდა მხოლოდ 1926 წლის ოქტომბერში. ერიმ დასძინა, რომ მისი წინასწარი ჩვენება სიმართლეს არ შეეფერება, რადგან მას ძალას ატანდენ და სცემდენ ჩვენების ჩამორთმევის დროს.**

ბრალდებულმა გეინბერგერმაც ასე განაცხადა.

რაკოშის დამცველმა **ლენგიელმა** წინადადება მისცა სასამართლოს წაკითხულიყო ყოფილიყო პოლონეთის კომპარტიის ორგანოს წერილი, რომელიც იმას მოწმობს, რომ რაკოში ჰუნგრეთში არ დაბრუნებულმა გადატრიალების მოსამზადებლად.

ბრალმდებელმა მოითხოვა, რომ სასჯელის გადიდება, რომელიც მისჯერდებულთ მიესაჯათ პირველ პროცესზე; ბრალმდებელი სასჯელის გადიდებას მოითხოვდა განსაკუთრებით რაკოშის, ვეინბერგერის და ეკატერინა ხამანისათვის. პროკურორმა ხაზი გაუსვა რაკოშის გამბედაობას, რამდენადაც ის დაბრუნდა ჰუნგრეთში არალეგალურ მუშაობისათვის და ანგარიში არ გაუწია იმ საფრთხეს, რომელიც მოელოდა მას, როგორც საბჭოთა ჰუნგრეთის ყოფილ სახალხო კომისარს. შემდეგ პროკურორმა უკანვე წაიღო საჩივარი, რომელშიაც ის შემცდარათ სთვლიდა დანაშაულის შეფასებას პირველ პროცესზე და სოციალისტურ მუშათა პარტიის ბრალდებულ წევრების გამართლებას. ამრიგად, განაჩენი, რომლითაც ისინი განთავისუფლებულ იქნენ, ძალაში რჩება.

დანარჩენ ბრალდებულთა დამცველების გამოსვლის შემდეგ, უკანასკნელი სიტყვა მიეცათ **რაკოშის** და სხვა ბრალდებულ კომუნისტებს (ადს).

განაჩენი

ვენა, 16 იანვარი. დღეს გამოიტანეს განაჩენი რაკოშის საქმის შესახებ. **ყველა ბრალდებულების მიმართ, გარდა ვეინბერგერისა, გამოტანილია პირველი ინსტანციის განაჩენი.** ვეინბერგერს დაპატიმრების ვადა შემცირებული აქვს 8-ან ექვს წლამდე.

პირველი ინსტანციის განაჩენი შეიცავს შემდეგს: რაკოშის მისჯილი აქვს რვა-ნახევარი წელიწადი, ვეინბერგერს—6 წელიწადი, ერის—4 წელიწადი, გეგეშს—3 ნახევარი. ეკატერინე ხამანის—2 წ. და 4 თვე და სხვ.

ბრალდებულებს ჩაეთვალათ წინასწარი დაპატიმრების ვადა. (ადს).

მშრომელთა ალმასკომის მოწოდება

ბერლინი, 16 იანვარი. გერმანიის მშრომელთა კონგრესზე არჩეულმა ალმასკომმა გამოაქვეყნა მოწოდება გერმანიის ყველა მშრომელებისადმი, რომელშიაც მოუწოდებს მათ მოაწყონ **მასიური დემონსტრაციები ომის საშიშროების წინააღმდეგ რეიხსტაგის დათხოვნისა, 8 საათის სამუშაო დღისა, ხელფასის გადიდებისა და უმუშევართათვის მუშაობის მიცემისათვის.** (ადს).

რეფორმისტების ახალი ღალატი

ვენა, 16 იანვარი. აქ მიღებულ ცნობების თანახმად, იტალიის შრომის საერთო კონფედერაციის პრეზიდიუმმა აცნობა კონფედერაციაში შემავალ ყველა ორგანიზაციებს, რომ კონფედერაცია გადაკეთებულია შრომის საკონსულტაციო ბიუროთ, რომელიც იარსებებს შვეიცარიაში.

ეს გადაწყვეტილება ნიშნავს იტალიის ერთად-ერთ ლეგალურ მუშათა ორგანიზაციის თვითდაშლას; იგი გამოწვეულია ფაშისტური მთავრობის მოთხოვნილებებით. თუმცა მთავრობის ანგარიში, რომ კონფედერაციის შეეწყვიტა მუშაობა და წინადადება მიეცა თავისი წევრებისათვის მიმხრობოდენ ფაშისტურ კორპორაციას, არ გამართლდა, მაგრამ კონფედერაციის გადაწყვეტილება უდრის იმას, **რომ რეფორმისტები თვითონვე ამბობენ უარს ყოველგვარ მუშაობაზე იტალიაში.** ამ გადაწყვეტილებით ფაშისტური მთავრობა უეჭველად გამოიყენებს იმისათვის, ... აძლიეროს მუშათა კლასის პოლიტიკური და ეკონომიური შევიწროება. საკონსულტაციო ბიუროს დაარსებას შვეიცარიაში არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება იტალიის მშრომელთათვის და შესაძლებელია რეფორმისტებმა გააგრძელონ მოლაპარაკება კორპორაციასთან ამ უკანასკნელთან თანამშრომლობის შესახებ.

უკანასკნელი დროის განმავლობაში კონფედერაცია ამცირებდა თავის მუშაობას და ყურადღებას არ აქცევდა რევოლიუციონურ პროფკავშირების პროტესტებს. **რევოლიუციონურმა პროფკავშირებმა პროტესტი განაცხადეს კონფედერაციის ლიკვიდატორული მოქმედების წინააღმდეგ** და აღნიშნეს, რომ ისინი იბრძოლებენ პროლეტარიატის კლასიური ორგანიზაციების შესანარჩუნებლად, რაც განსაკუთრებით საჭიროა ეხლა, როდესაც იტალიაში გაძლიერდა ...

საბჭოთა კავშირი და ლიტვა

„ლეტუვა“-ს წერილი

კოვნო, 16 იანვარი, ოფიციოზი „ლეტუვა“ წერილს უძღვნის საბჭოთა კავშირის და ლიტვის ურთიერთობის საკითხს. გაზეთი სწერს:

„17 დეკემბრის გადატრიალება არ შეხებია საგარეო პოლიტიკის არც ერთ საკითხს. **ახალი მთავრობა საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის საფუძვლად უდებს სექტემბერში დადებულ ხელშეკრულებას.** ზოგიერთები ოთხი კომუნისტის სიკვდილით დასჯაში ხედავს ახალი ხელისუფლების პოლიტიკის შეცვლას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხში. მაგრამ საგარეო პოლიტიკას არაფერი საერთო არ აქვს ოთხ ლიტველ მოქალაქის დასჯასთან, რომელთაც სურდათ არსებული წესწყობილების დამხობა. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუარესებას არ ნიშნავს აგრეთვე სავაჭრო მოლაპარაკების შეწყვეტაც, ვინაიდან ლიტვის დელეგაცია, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა წინანდელი მთავრობის ინსტრუქციების მიხედვით, დაბრუნდა კოვნოში იმ მიზნით, რომ მოხსენებით წარუდგეს ახალ მთავრობას. ლიტვის მთავრობის მიერ კომუნისტური პროპაგანდის შეზღუდვამაც არ უნდა გააუარესოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. **ლიტვას სურს კარგი დამოკიდებულება ყველა მეზობლებთან, მათ შორის საბჭოთა კავშირთანაც“.** (ადს).

ვოლდემარასი დამშვიდებულია

კოვნო, 16 იანვარი. სეიმის გარეშე საქმეთა კომისიის სხდომაზე გამოვიდა პრემიერი **ვოლდემარასი,** რომელმაც დაახასიათა ლიტვის პოლიტიკური მდგომარეობა. ვოლდემარასის აზრით, ამჟამად ლიტვას არავითარი საერთაშორისო გართულება არ მოელის. (ადს).

გერმანიის კომპარტიის კონფერენცია

ბერლინი, 16 იანვარი. გერმანიის კომპარტიის კონფერენციაზე **დენგელმა** მოხსენება გააკეთა საერთაშორისო ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე; ეს მოხსენება მან დაუკავშირა კომინტერნის ალმასკომის მე-7-დე გაფართოებულ პლენუმის გადაწყვეტილებებს.

„პარტ. ის სწორი კონსოლიდაცია, განაცხადა ამხ. დენგელმა, შესაძლებელია მხოლოდ ცკას პლატფორმის ნიადაგზე. როცა პარტია საბოლოოდ განმტკიცდება, ჩ ანდლერის და ტალგეიმერის დაბრუნება შესაძლებელი გახდება. ხოლო თუ პარტიული მუშაობის განახლების შემდეგ ისინი კვლავ შეეცდებიან თავიანთი შეხედულებების დაცვას და ცეკას ხაზის შეცვლას, პარტია თვითონვე მიუჩენს მათ ადგილს“.

სხდომის საქმიანი ნაწილის დაწყების წინ ბრაუნმა კონფერენციას წინადადება მისცა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ლიტვის ტერორის მსხვერპლთა ხსოვნას; მან განაცხადა, რომ გერმანიის დელეგაციის წევრს კომინტერნის ალმასკომის პლენუმზე ეშეს, რომელიც მონაწილეობას იღებდა საპროტესტო დემონსტრაციაში ლიტვის მისიის შენობის წინ, პოლიციელებმა კეტებით სცემეს, რის გამო ის დაბრმავდა. (ადს).

დეპუტატების დევნა

პოლიციის თარეში

ვარშავა, 16 იანვარი. **ბელორუსთა გრომადის სამი დეპუტატის დაპატიმრებამ სეიმში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.** ეს პირველი შემთხვევაა, როცა დეპუტატებს აპატიმრებენ სასამართლოსთვის წინასწარ გადაცემის გარეშე. შინაგან საქმეთა მინისტრის ცნობაში ნათქვამია, რომ ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა მოეთხოვა სეიმისაგან სამი დეპუტატის გადაცემა სასამართლოსათვის, მაგრამ შემდეგ ეს არ მოხერხდა, რადგან დეპუტატებს შეეძლოთ მიმალვა.

„კურიერ ვარშავსკი“ სთვლის, რომ მთავრობას უფლება ჰქონდა დაეპატიმრებია დეპუტატები იმ მუხლის თანახმად, რომლითაც მთავრობას აქვს დეპუტატის დაპატიმრების უფლება, თუ უკანასკნელს დაუჭირეს საბუთები.

14 იანვარს ვარშავაში მოხდა მასიური ჩხრეკა. გაჩხრიკეს გლეხთა დამოუკიდებელ პარტიის მდივნებიც.

მასიური ჩხრეკა მოხდა აგრეთვე ნოვოგრუდკში, ბიელსტოკში, პოლესიში, ლოძაში, პოზნანში და დასავლეთ ბელორუსიის მთელს ტერიტორიაზე. ვილნოში დაპატიმრებულია ბელორუსიის ბანკის ორი დირექტორი და ბელორუსიის გიმნაზიის დირექტორი. ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ ხელისუფლების განკარგულებაშია სერიოზული საბრალდებლო მასალა. პოლიტიკურ წრეების აზრით ვარშავაში მომხდარი ჩხრეკა დაკავშირებულია ბელორუსთა გრომადის საბოლოო ლიკვიდაციის მომზადებასთან.

სეიმის თავმჯდომარის რატაის კითხვაზე, თუ რა მიზეზით დააპატიმრეს ბელორუსთა დეპუტატები მის დაუკითხავად, იუსტიციის მინისტრმა უპასუხა, რომ დეპუტატებს მიუსწრეს ბოროტმოქმედების ადგილზე და დააპატიმრეს შედეგების თავიდან ასაცილებლად. მახლობელ დღეებში მთავრობა სეიმისაგან მოითხოვს დაპატიმრებულ დეპუტატების გადაცემას. (ადს).

აღმოსავლეთ საზღვრებზე

ვარშავა, 16 იანვარი. **პოლონეთის პრესა განაგრძობს კამპანიას აღმოსავლეთ საზღვრების რევიზიის წინააღმდეგ.** პილსუდსკის ორგანო „გლოს პრავდი“ აცხადებს, რომ „საზღვრების რევიზია ითამაშებს იმ ნაპერწკალის როლს, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს უდიდესი ხანძარი“ (ადს).

გოლოვიჩის დაპატიმრება

ვარშავა, 16 იანვარი. **გუშინ ღამით, ვარშავაში დააპატიმრეს დამოუკიდებელ გლეხთა პარტიის დეპუტატი გოლოვიჩი.** (ადს).

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

მოლაპარაკება პარტიებთან

ბერლინი, 16 იანვარი. მარქსმა საბოლოოდ მიიღო ჰინდენბურგის წინადადება მთავრობის შედგენის შესახებ.

მარქსი მოლაპარაკებას გამართავს პარტიების ბელადებთან იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია საშუალო პარტიების მთავრობის შედგენა. (ადს).

კვლავ მარქსი

ბერლინი, 16 იანვარი. ცენტრის საპარლამენტო ფრაქციის დადგენილებასთან დაკავშირებით, **ჰინდენბურგმა წინადადება მისცა მარქსს გამოარკვიოს მთავრობის შედგენის შესაძლებლობა საპარლამენტო ფრაქციებთან მოლაპარაკების გზით. მარქსმა პასუხის გაცემა დაჰპირდა 16 იანვრამდე.** (ადს).

„ეკონომიური პარლამენტი“

ლონდონი, 16 იანვარი. გომერსჰიტში წარმოთქმულ სიტყვაში მაკდონალდმა განავითარა ჰენდერსონის აზრი, რომ აუცილებელია „ეკონომიური პარლამენტის“ შექმნა „მრეწველობაში მშვიდობიანობის“ მისაღწევად.

მაკდონალდის სიტყვით, კარგი იქნებოდა, რომ პროფკავშირთა გენერალური საბჭო შეხვედროდა გაერთიანებულ თაობირზე მწარმოებელთა ორგანიზაციის წარმომადგენლებს, „რათა გამოერკვიათ მრეწველობაში შექმნილ დაბრკოლებების ყველა მიზეზები და დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები ამ მიზეზების შესასწავლად და აღმოსაფხვრელად“. (ადს).

მუსოლინი და ჩერჩილი

რომი, 16 იანვარი. მუსოლინი ჩერჩილის დარბაზობის საპასუხოდ ეწვია ჩერჩილს ინგლისის საელჩოში.

საელჩოში შესდგა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ მუსოლინი, ჩერჩილი და ინგლისის ელჩი. (ადს).

რომი, 16 იანვარი. 15 იანვარს რომში ჩავიდა **ჩერჩილი,** რომელიც ეწვია მუსოლინს.

საუბარს დაესწრო ინგლისის ელჩი რომში გრეხემი. (ადს).

მუშათა ბრძოლა

პრაღა, 16 იანვარი. სამთამადნო მუშების ორგანიზაციებმა დაადგინეს მოემზადონ აშკარა ბრძოლისათვის მაღაროების მეპატრონეებთან, რომლებმაც საბოლოოდ უარჰყვეს მოთხოვნილება ხელფასის 20 პროც. გადიდების შესახებ.

პროფკავშირების რევოლიუციონური გაერთიანების წარმომადგენლები მოითხოვენ გაფიცვის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. (ადს).

იტალიის ახალი პროვოკაცია

ვენა, 16 იანვარი. სამხრეთ-სლავიის პრესის ერთი ნაწილი განაგრძობს განგაშს იტალიელების მზადების შესახებ ალბანეთში.

ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, იტალიის კონსულმა სკუტარიში (ალბანეთი) დაამყარა კავშირი სამხრეთ-სლავიაში მცხოვრებ ალბანელ ლტოლვილებთან, რომელთაც ბრალი ედებათ ალბანეთის უკანასკნელ აჯანყებაში მონაწილეობის მიღება.

გავრცელებულია ხმები, რომ იტალიას განზრახული აქვს ალბანელი ლტოლვილების საშუალებით მოაწყოს ახალი აჯანყება ალბანეთში და გამოიყენოს ეს აჯანყება იტალია-ალბანეთს შორის დადებულ ხელშეკრულების შესასრულებლად, რომელიც გულისხმობს ალბანეთისათვის იტალიის მიერ სამხედრო დახმარების გაწევას. (ადს).

მაკდონალდის გაკოტრება

ლონდონი, 16 იანვარი. დენდიში მოწვეულ შოტლანდიის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის, მორიგ წლიურ კონფერენციაზე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს მაკდონალდის უკანასკნელ განცხადებებს, როგორც მუშათა მოძრაობის, ისე პოლიტიკური საკითხების გარშემო. რეზოლიუცია მიღებულ იქნა 4 ხმის უმრავლესობით. (რეზოლიუციას ხმა მისცა 61 კაცმა წინააღმდეგ ... ხმის დიდი უმრავლესობით იქნა უარყოფილი პარტიის ჰავანის განყოფილების წინადადება შეცვლილ ყოფილიყო მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელობა.

წინადადების შეტანამ ფლიკსონმა განაცხადა, რომ მაკდონალდს შეუძლია წარმატებით მუშაობა მხოლოდ როგორც საპარლამენტო ოპოზიციის ორატორს, მაგრამ როგორც მუშათა კლასის ლიდერი—იგი გაკოტრებულათ უნდა ჩაითვალოს ...

საქართველოს ... ბიბლიოთეკა

ბელადის სიკვდილის სამი წლის თავი

საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის კომპარტიების ყველა ცენტრალურ, ქალაქის და საოლქო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

სამი წელი სრულდება, რაც ჩვენ ულენინოდ ვანხორციელებთ სოციალიზმის აღმშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

...

„ამ მდიდარი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება, თეთრი ნახშირი, მორწყვა... დიდ სამუშაოთა დაწყება ელექ-

...

რომელნიც თქვენ უნდა გადასწყვიტოთ, რომ ღირსეულად უკვდავჰყოთ ჩვენი ბელადის, ყველა მშრომელთა მეგობრის ვ. ი. ლენინის ბრწყინვალე ხსოვნა.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

სატყეო კონცესია

მოსკოვი, 16 იანვარი. საბჭოთა კავშირის ს. მ. ს. და იაპონიურ დიდ სინდიკატ „როორო-რინკიო კუმიი“-ს შორის დადებულია სატყეო კონცესიის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც დაამტკიცებულ გადაეცა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს.

...

მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია

ამხ. რიკოვის სიტყვა

მოსკოვი, 17 იანვარი. 14 იანვარს კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. რიკოვი რომელმაც სთქვა:

„მიმდინარე კონფერენციაზე მთელ რიგ მოხსენებებში მიუთითებდნენ იმ ამოცანათა სირთულეზე, რომლებიც ეხლა სდგანან პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამ ახალ პერიოდში...

...

ამხ. სტალინის სიტყვა

კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. სტალინმა სთქვა:

„ქვეყნის მმართველ და მთელი ჩვენი სამშენებლო მუშაობის ხელმძღვანელობის თვალსაზრისით თმთავარი მდგომარეობს იმაში, რომ პარტიამ შესძლოს სწორი პოლიტიკის გამოხატვა...

...

კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ყველა ქვეყნის მუშა-ახალგაზრდებს.

საღამო მოწყობილი იყო მოსკოვის კომკავშირის აქტივის ინიციატივით.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მატარებლის გაწყვეტა

ბაქო, 17 იანვარი. საბარგო მატარებლის შესვლის დროს სადგურ ბალაჯარაში, რონოდის საფეხური გამოედო ისრის სახელურს, რის გამოც თავის თავად გადაიწია ისარი. ამ მიზეზით მატარებლის წინა ნაწილი წავიდა ერთი მიმართულებით, ხოლო უკანა ნაწილი მეორე მიმართულებით, რის გამოც მოხდა მატარებლის გაწყვეტა. დაიმსხვრა ბრინჯით დატვირთული ერთი რონოდა, ხოლო დაზიანდა ხუთი. ლიანდაგი 20 მეტრზე გაფუჭებულია. მძიმედ დაშავდა ერთი კონდუქტორი. (ადს)

ხანძარი სკოლის შენობაში

...

პარტიული ცხოვრება

აგიტპროპგანყოფილებათა გამგეების თათბირი

პირველი სხდომა

...

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ტოლსტოის ნაწარმოები

მოსკოვი, 17 იანვარი. საკავშირო სახკომსაბჭომ დასდო რ. ს. ფ. ს. რ.-ის სახელმწ. გამომცემლობის განკარგულებაში 15.000 მანეთი ავანსის სახით — ტოლსტოის თხზულებათა გამოსაცემად. (ადს).

პავლენოვსკის დანიშვნა

მოსკოვი, 17 იანვარი. ...

კონტრ-რევოლუციონერის გასამართლება

მოსკოვი, 17 იანვარი. ... (ადს).

ყირიმში გაზაფხულია

სევასტოპოლი, 17 იანვ. ყირიმის ბაღლობებში ყვავის ნუში. სამხრეთ ნაპირზე მზიანი ცხელი ამინდია. (ადს).

გვალვასთან ბრძოლა

მოსკოვი, 17 იანვარი. საკავშირო სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ფინანსთა სახალხო კომისარიატს გადასდოს ...

14 მუშის მოწამვლა

მოსკოვი, 17 იანვარი. დღეს, ქარხანა „კრასნი ბოგატირ“-ში მოიწამლა 14 მუშა, ... 500 მან. გადაიხადა ადგილზე. (ადს)

რა გადასწყვიტა თბილისის მეუთე პარტკონფერენციამ

(კონფერენციის რეზოლუცია თბილისის კომიტეტის მოხსენების გამო)

თბილისის კომიტეტის მუშაობა

1. თბილისის მეშვიდე პარტკონფერენცია, მოისმინა რა მან საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მოხსენება, თბილისის კომიტეტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს სთვლის სწორად და სავსებით იწონებს შესრულებულ მუშაობას.

მრეწველობა

...

ვაჭრობა

...

კოოპერაცია

...

საბინაო მშენებლობა

...

პროფკავშირები

...

თბილისის სახლი

...

ბიუროკრატიზმი. — პარტდემოკრატია

...

ინდუსტრიალიზაცია. — მუშათა რიგები

...

უმუშევრობა

...

ინტელიგენცია

12. კონფერენცია აუცილებლად სთვლის, რომ ინტელიგენციას შორის მუშაობას სავსებით სერიოზული ყურადღება მიექცეს.

...

პარტმუშაობა

...

ახალგაზრდობა

...

ქალთა განყოფილება

...

თავდაცვის საკითხები

...

21. ...

თბილისის მეშვიდე პარტკონფერენცია

ამხ. მამია ორახელაშვილის საბოლოო სიტყვა

რეზოლიუცია

ამხ. ორახელაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ, კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშაობას სთვლის დამაკმაყოფილებლად, ხოლო პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს აღიარებს სწორად.

პრეზიდიუმს დაევალა უფრო ვრცელი რეზოლიუციის ტექსტის შემუშავება.

მისასალმებელი დეპეშები

რეზოლიუციის მიღების შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა ბორჩალოს სამაზრო პარტკონფერენციისა და ა. ლ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის მე-9-ე კონფერენციისაგან მიღებული მისასალმებელი დეპეშები.

ამხ. ავაქოვის მოხსენება
საქართველოს მრეწველობის შესახებ

მრეწველობის ზრდა

ამხანაგებო, ჩვენი პარტიის ყურადღება ამჟამად მიქცეულია სამეურნეო აღმშენებლობის საკითხებისადმი, რადგან ეს არის უმთავრესი ფრონტი ჩვენს ბრძოლაში სოციალისტური აღმშენებლობის დასამყარებლად. ინდუსტრიალიზაციის — გენერალური ხაზის საკითხი წამოყენებულ იქნა პარტიის მე-14-ე ყრილობაზე და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მუშათა კლასისა და პარტიის მხრივ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ თბილისის კომიტეტისა და ა.-კ. საოლქო კომიტეტის მოხსენებები პირველ რიგში სამეურნეო საკითხებს ეხებოდენ. თავის მოხსენებებში ამხ. კახიანი და ორახელაშვილი დაწვრილებით შეჩერდენ მრეწველობის საკითხებზე...

ამხ. ავაქოვი

...ფექტები აღმოაჩინა. დაზგები უსისტემოდ ყოფილა დადგმული, ფაბრიკის ამშენებლები არწმუნებდენ სატყეო ტრესტს, რომ ფაბრიკა გასული წლის ზაფხულს ამუშავდებაო. ამის გამო ტრესტმა გრეხილი ავეჯის ფაბრიკაც კი დახურა თბილისში. მერე რა აღმოჩნდა? არსებული ფაბრიკა დახურეს, ახალი ჯერ ვერ ამუშავდა, მოთხოვნილება ავეჯზე გაიზარდა და სატყეო ტრესტს არ ჰქონდა საშუალება ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია. უნდა გადაჭრით განვაცხადო, რომ ჩვენ მშენებლობაში არ გვქონდა გეგმიანობა...

ინდუსტრიალიზაციის გზები

ტექნიკური მოუმზადებლობა

ხარისხის ნაკლოვანებანი

ახალი ფაბრიკები

ვინ უნდა აშენებდეს

კამათი ამხ. ავაქოვის მოხსენების გარშემო
მეთორმეტე სხდომა

ამხ. მურადოვი

აღნიშნავს, რომ ზოგიერთ სავაჭრო სპეცების „მუშაობით“ სახელმწიფო დიდ ზარალს ნახულობს. ორატორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მისი სიტყვები არ ეხება ნამდვილ სპეცებს. ის ლაპარაკობს ყალბ სპეცებზე, რომლებიც მდგომარეობით სარგებლობენ და ათასგვარ მახინაციებს აწყობენ. გადადის რა საბინაო საკითხზე, ორატორი აღნიშნავს მის სიმწვავეს საერთოდ და მოითხოვს, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მიაქციოს ყურადღება მუშებისთვის ბინების აგების საქმეს. რაც შეეხება მუშა ძალის მომზადების საკითხს „ს. მ. უ. ს“-მა აქაც მეტი უნარიანობა უნდა გამოიჩინოს...

...ხელფასის გადიდებისადმი სამეურნეო მუშაკების დამოკიდებულება მიმდინარე წელს არ იყო ნორმალური, ისინი წინააღმდეგობას უწევდენ რათა გაგვეთანასწორებია ჩამორჩენილ დარგების შრომის ხელფასი უფრო წინ წაწეულებთან. ეხება რა სამეურნეო მუშაკთა დამოკიდებულებას საწარმოო თათბირებისადმი ორატორი აცხადებს, რომ ისინი ხშირად არ იცნობენ ცენტრის დირექტივებს, რაც მას არა ნორმალურად მიაჩნია.

ამხ. ოგანიანი

ლაპარაკობს, რომ მრეწველობის საკონტროლო ორგანოები არ დგანან სათანადო სიმაღლეზე, რადგან კონტროლიორებათ ხშირად არიან ისეთი „სპეცები“, რომელთაც არაფერი გაეგებათ...

ამხ. ფანცულაია

ეხება მუშაობის პირობებს ავჭალის ქარხანაში. ის აღნიშნავს, რომ ქარხანაში გაუარესდა მუშების მდგომარეობა მას შემდეგ, რაც ის გადაეცა არტელს. ქარხანაში შექმნილ მდგომარეობას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ორატორი მიუთითებს აგრეთვე, რომ ფაბრიკა-ქარხნებში, რომლებიც იქნება ავჭალის თემში მიზიდულ უნდა იქნან სამუშაოდ ადგილობრივ ლარიბი გლეხობა.

ამხ. მაჩაიძე

აღნიშნავს, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს და მატერიალურ საშუალებები მიეცეს ლითონის ტრესტს, მაშინ ლითონის მრეწველობა მომგებიანი იქნება.

შემდეგ ამხ. მაჩაიძე აღნიშნავს, რომ ჩვენი ფაბრიკა - ქარხნები ძლიერ ნელი ტემპით შენდებიან. როგორც მაგალითი მას მიჰყავს მარელისის ქარხანა, რომლის გახსნა უნდა მომხდარიყო 15 ივნისისათვის, მაგრამ ის დღესაც არ არის გახსნილი...

ამხ. კვეთია

ამხ. ჭიქონავა

ამხ. შენგელია

ამხ. ავეტისოვი

ამხ. ალლაჰ

ამხ. ავეტისოვი

ამხ. მოლაშვილი

ამხ. ლლონტი

მოითხოვს, რომ „ს. მ. უ. ს.“-მა განსაზღვრული გეგმა უნდა შეიმუშაოს სამუშაო ძალის განსაზღვრულ კატეგორიების მოსამზადებლად. გარდა ამისა „ს. მ. უ. ს.“-ის დებულებაში აღ...

ამხ. მარშანია

ამხ. ბოზოლოვი

ამხ. გოზალოვი
(ტყავის ტრესტი)

შეჩერდა ტყავის ტრესტის მუშაობის ზოგიერთ დეფექტებზე (საქმის გაჭიანურება, საეჭვო უცხო სპეციალისტებით გატაცება და სხვა) და დასასრულ აღნიშნა მუშათა სახლების აგების და შეკეთების აუცილებლობა.

ამხ. გოზალოვის სიტყვის შემდეგ, კონფერენციის დადგენილებით, კამათი შეწყდა და სიტყვა მიეცა ამხ. ავაქოვს.

ამხ. კატალევსკაია

ჩერდება თამბაქოს ტრესტის მუშაობის ნაკლოვანებებზე, ტეხნიკური მოწყობილობის, მუშაკების შერჩევის და მომჭირნეობის რეჟიმის გატარების დარგში.

ავაქოვის საბოლოო სიტყვა

ამხ. ავაქოვი შეეხო იმ ძირითად საკითხებს, რომლებსაც შეეხენ კამათში გამოსული ამხანაგები.

სამეურნეო მუშაკების დამოკიდებულება პროფკავშირებთან არ არის ნორმალური. ცენტრალურ სადაო საკითხში — საწარმოო თათბირების შესახებ, არც ერთი მხარე არაა მართალი. საჭიროა შეცდომების აღნიშვნა და მათი გამოსწორება შეერთებული ძალებით.

შრომის ხელფასის საკითხში ასეთი მდგომარეობა გვაქვს: მართალია ეხლა ადგილი აქვს შრომის ხელფასის და შრომის ნაყოფიერების ერთგვარ თანაზრობას, მაგრამ საჭიროა მაინც ან გარიში გაეწიოს...

მეორე საკითხი აღმშენებლობის დარგიდან შეეხება იმას, რომ ჩვენ ცუდათ, ძვირად და დღლხანს ვაშენებთ. შრომის სახალხო კომისარიატის და პროფკავშირების საქმეა — შექმნან არტელები და კოლექტივები მუშებისაგან, რომ ისინი არ ჩავარდენ კერძო პირების ხელში.

წარმოებებისათვის ნედლეულის საკმაო რაოდენობის მიწოდებას ხელს უშლის არასაკმაო გეგმაშეწონილი მუშაობა ამიერ - კავკასიის მასშტაბით. ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებში პარალელური წარმოებების (მაგალითად, ზეთის და საპნის სახდელი ქარხნები) არსებობის ფაქტი ხელს უშლის ყველა ... ოდის ნედლეულის საჭირო რაოდენობის მიწოდებას...

„...მე-15 პარტკონფერენციის მიერ აღნიშნულ გენერალურ ხაზის შესრულებას“ — ათავებს ამხ. ავაქოვი.

მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა კომისია მრეწველობაზე წაკითხულ მოხსენების თეზისების დასამუშავებლად შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ავაქოვი, ყურულაშვილი, ფანცხავა, ხვანიძე, ივანოვ-კავკასსკი, მურადოვი, ფრიდონოვი, მიქაძე, ღლონტი, ვარლამოვი, ივანოვი, აღლაძე, გოდაბრელიძე, კანდელაკი, ნოვიკოვი, მაჩაიძე, კატალევსკაია, მარიამიძე.

ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენება
პროფკავშირების მუშაობის შესახებ

მეცამეტე სხდომა

ამხანაგებო, ჩვენი კონფერენციის მიმდინარეობის დროს ამხანაგები შეეხნენ მთელ რიგ საკითხებს პროფკავშირთა მუშაობის შესახებ. დროის უქონლობის გამო, მე შევჩერდები მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელიც ყველაზე ნაკლებ იყო გაშუქებული ამ კონფერენციაზე.

ამხანაგებო, პროფკავშირების, — მუშათა კლასის ამ მასიურ ორგანიზაციების მუშაობაში ბევრი მიღწევაა, მაგრამ არის ნაკლულევანებაც. ჩვენი მეურნეობის საერთო ზრდასთან, ჩვენი მრეწველობის...

...წლის თანწრისათვის ქართველები იყვნენ 42,2 პროც., მხოლოდ ივლისისათვის 45,8 პროც., სომხები იყვნენ — 28,5 პრ. ამჟამად — 26.4 პრ., რუსები იყო 21,7 პრ. და არის 18.8 პროც.

სამი ამოცანა

პროფკავშირების მთავარ ამოცანებს მიმდინარე პერიოდში წარმოადგენდენ: მასიური მუშაობის გაძლიერება, პროფკავშირთა აქტივის გაფართოება და საკავშირო მუშაობაში დემოკრატიის გატარება...

...შაობაში ჩაბმულნი იქნენ უპარტიოები, რომელთა რიცხვი პროფკავშირთა გამგეობებში 25 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იქნეს.

ამხანაგებო, დემოკრატიზმის გატარების საკითხში საკავშირო პროფაქტივის გაფართოების საქმეში წარმატებებთან ერთად გვაქვს ნაკლულოვანებანიც. მთავარი ნაკლი ის არის, რომ დემოკრატიზმს ფორმალურად უდგებიან. რაში გამოიხატება ეს ფორმალური მიდგომა? იმაში, რომ გამგეობის შემადგენლობის გაფართოვების შემდეგ ამ გამგეობას იშვიათად იწ...

...ეს დეფექტები უნდა აღმოფხვრათ ამ მოკლე ხანში. დაწინაურებული მუშები ჩაბმულნი უნდა იქნენ უშუალო მუშაობაში. საჭიროა შემოღებული იქნეს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტიდან მუშაკების გეგმაშეწონილი ჩაბმა — წამოყენება გამგეობებში. მხოლოდ ამ გზით აღმოფხვრით ბიუროკრატიზმს და ზევიდან ბრძანებლობას.

ფინანსიური მდგომარეობა

ხელფასი

ამხ. ურულაშვილი

კულტურული მუშაობა

ეხლა შევეხები ჩვენი კულტურული აღმშენებლობის საკითხს. საერთო გამოცოცხლების გამო ეხლა საგრძნობლად გაუმჯობესდა კულტურული მუშაობაც. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საკლუბო მუშაობა. იზრდება კლუბის წევრთა რიცხვი. თუ წარსული წლის 1 იანვრისათვის თბილისში იყო კლუბების 8.900 წევრი, ეხლა უკვე 17.000-ზე მეტია, რაიც პროფკავშირთა ყველა წევრების 24 პროცენტს შეადგენს. კლუბების წევრთა შორის მეტია ქალები, ვიდრე მამაკაცები. საკმაოდ არიან ჩაბმული საკლუბო მუშაობაში ახალგაზრდობაც. გაიზარდა წარმოდგენების რიცხვი კლუბებში, გაუმჯობესდა მათი თვისება. თბილისში სულ კლუბებში იყო 2,7000 წარმოდგენა, რაიც ყოველ კლუბზე 169 წარმოდგენას შეადგენს. ეხლა ინტერესი კლუბებისადმი უდიდესია. ძალიან გაიზარდა კლუბებში მოსიარულეთა რიცხვი.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საკლუბო მუშაობის შემდგომ ზრდას აფერხებს ის გარემოება, რომ კლუბების შენობები არ არიან შეფარდებული მუშაობის გაფართოებისადმი და ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ამჟამად უყენებენ კლუბებს. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ კლუბების ახალ შენობათა აგებას. რამდენადაც შესაძლებელია კლუბები უნდა განიტვირთონ კრებებისაგან. ჩვენი ამოცანა იმაშია, რომ კლუბები კლასიურ აღზრდასთან ერთად დასვენებისა და გართობის ადგილიც უნდა იყოს. ერთი უნდა ავსებდეს მეორეს. კლუბის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს პროფკავშირთა მთელმა მასამ.

ფიზკულტურა და ექსკურსიები

ჩვენს კულტურულ მუშაობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფიზკულტურა. სხვა დარგებში ჩვენ გვაქვს მიღწევანი, მაგრამ ფიზკულტურის დარგში უკან მივდივართ. ეს აიხსნება იმით, რომ თბილისში არ არის ამისათვის მოწყობილი დარბაზი, არ არის სტადიონი. თუ სტადიონები არ მოვაწყვეთ, ჩვენი ფიზკულტურა წინ ვერ წავა.

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საექსკურსიო მუშაობას. ჩვენ ერთი მასიური ექსკურსია მოვაწყვეთ ბაქოში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 50 კაცმა, მაგრამ ეს არაა საკმაო.

მომავალში უნდა გავადიდოთ ექსკურსიების რიცხვი, როგორც საქართველოს საზღვრებში, ისე სხვა რესპუბლიკებში. რკინისგზამ მომავალშიაც უნდა შეუწყოს ხელი ექსკურსიებს შეღავათიანი ბილეთების მიცემით.

ლიტერატურული ნადირობა

„ჩვენ გვყავს პროლეტარული იუმორისტი სილიბისტრო თოდრია. მას ეხლა დიდ. თანამდებობა უჭირავს—ც-ის მდივანია. მაგრამ იგი მაინც სისტემატიურად უნდა შეუდგეს ლიტერატურულ მუშაობას, რომ შექმნას ნამდვილი ჩვენი იუმორი და გააწიოს ყველა ეს „თაგუნები" და მენშევიკების სხვა თაგვები (ტაში)".

(ამხ. კახიანის სიტყვიდან თბილისის პარტკონფერენციაზე).

მისალმებები

„პრავდა"-ს რედაქციას

თბილისის მე-7 პარტკონფერენცია მხურვალე კომუნისტურ სალამს უძღვნის „პრავდა"-ს —ლენინურ პარტიის კოლექტიური აზრისა და ნებისყოფის გამომხატველ ორგანოს. „პრავდა"-ს გზა ეს არის საკავშირო კომპარტიის (ბ) გზა უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში: ცარიზმის წლებში, დროებითი მთავრობის პერიოდში ოქტომბრის შეტევის სამზადისში, სამხედრო კომუნიზმის წრეების განსაკუთრებულ წლებში, სამოქალაქო ომის ხანაში, „პრავდა" ყოველთვის იყო რთული გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, ბოლშევიკურ-ლენინური აზრების კოლექტიური ორგანიზატორი და გამავრცელებელი მრავალ მილიონ მშრომელთა შორის.

„პრავდა" საკავშირო კომპარტიის (ბ) საყვირია, რომლის ხმა მთელ საბჭოთა კავშირში ისმის. განაგრძობს რა ბრძოლას მარქს-ლენინიზმის მოძღვრების დამახინჯებელთა წინააღმდეგ, „პრავდა" —მრავალი მილიონი მშრომელი მასების კოლექტიური ორგანიზატორი მომავალშიაც განაგრძობს თავის სახელოვან გზას, იგი კვლავ დარჩება გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად შემოქმედებით მუშაობაში ძლევა-მოსილი სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე.

საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტს

თბილისის მე-7 პარტიული კონფერენცია ...

თბილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობა

კონფერენციამ დაადგინა არჩეულ იქნეს თბილისის კომიტეტი 77 წევრის და 41 კანდიდატის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია 11 წევრის და 3 კანდიდატის შემადგენლობით.

წევრები

თბილისის კომიტეტის წევრებათ აირჩიეს: ავაქოვი, აღამიანი, აკოპოვი სტეფან, ანდრიანოვა ევდოკია, არეშინი, ასრიბეკოვი, ბერიძე შაქრო, ბერია, ბოლქვაძე, ბურეშ, ვართაპეტოვი, ვოლსკი ...

... კაია, მამისარაშვილი, მაშკევიჩი, მზარეულაშვილი, მიხაილოვი, მაჩაიძე, მამიევი, მორჩილაძე, ნადირაშვილი, ნიკიტინი, ნემერზელი, ოსეპიანი, ოლინ ალექს. (სანაპირო რაზ.), ოსეპიანი ოჰანეს, ფანცხავა, ფირცხალავა ერმილე, ფანცულაია, პევცოვი ივანე, პრეობრაჟენსკი, ფირალოვი, პაპახჩიანი, რუბენ, სუხიშვილი, სვანიძე, სალუქვაძე, სულავა კირილე, სტოეცკი, სიხარულიძე, თალაკვაძე სოფიო, თალაკვაძე შალვა, ტერ-ვართანოვი, თოდრია, ტაკტაევი, უსოვი, ფომინი, ხაცკევიჩი, ჩოჩიევი, შეპელიოვი, შიშინაშვილი და ედიაშვილი.

კანდიდატები

არტო, აზრუმელაშვილი, აშმოვი, ასრიევი, ბუდილევი, ბუბუშიანი, ბარამიძე ილია, ბურჯანაძე, ვოიკინი, ვოლკოვი, გოგლიძე სერგო, განემანი, გაბაშვილი, გოზალოვი, გვილავა, გასან-ზადე, დალაქიშვილი, კიკნაძე ილო, ფატალევსკაია, კონჩაკი, კლევცოვი, ლომიძე, ლაშქარაშვილი, ლავრენტიევი, ლიაპინი, მარლიშვილი, მარიამიძე, მამედოვი, ოკუჯავა, ომაროვი ...

სარევიზიო კომისიის წევრები

ამხ. ათაბეგოვი, ადიკაშვილი, ბოგდანოვი, ვანციანი, ვაშაკიძე ვალერიან, კოჩეტკოვი, ქართველიშვილი, კიკნაძე ლადო, მღებრიშვილი, ტრატიანი და უნგიაძე.

კანდიდატებათ—სიხაშვილი, რუხაძე და შანიძე.

კონფერენციის დახურვა

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა

— თბილისის მე-7 კონფერენციამ დაასრულა თავისი მუშაობა და ნება მომეცით ჯამი გაუკეთო ამ მუშაობას—დაიწყო ამხ. ფ. მახარაძემ.

თბილისის პარტორგანიზაციის ეხლანდელმა კონფერენციამ მოგვცა მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ ვიმუშაოთ მომავალში. კონფერენციის განუწყვეტელი მუშაობა შვიდი დღის განმავლობაში უსათუოდ განსაკუთრე- ...

... რება ჩვენ არ შეგვიძლია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ როცა ჩვენ აშკარა ბიუროკრატიზმს, უყაირათობას ან რაიმე სხვა ნაკლს დავინახავთ, დაუყოვნებლივ არ უნდა მივიღოთ სათანადო ზომები მათ აღმოსაფხვრელად. ჩვენ ამისათვის მოგვეპოვება უმაღლესი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, რომელთა შემწეობით ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ აუცილებელი ზომები ამა თუ იმ შემთხვევაში ...

კამათი

ამხ. ურულაშვილის მოხსენების გარშემო

ამხ. ლლონტი

აღნიშნავს, რომ სამეურნეო მუშაკები ცუდად ერკვევიან შრომის კანონმდებლობაში და დიდხნით აჭიანურებენ შრომის კონფლიქტების გადაწყვეტას. შემდეგ იგი ამბობს, რომ კვლავ აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როცა სამუშაოზე იღებენ ისეთ პირებს, რომელნიც არ არიან პროფკავშირების წევრები. არის აგრეთვე კოლექტიურ ხელშეკრულებათა დარღვევის შემთხვევებიც. პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული ხელშეკრულებათა დამრღვეველნი. ორატორი ხაზს უსვამს, რომ ბევრ პარტიულს რამოდენიმე თვის განმავლობაში არ შეაქვს საწევრო გადასახადი ...

... თვის, ახალი მუშაკების ჩასაბმელად პროფკავშირებში. ამის შესრულება კი აუცილებელია. ზოგიერთ პროფკავშირთა ორგანოებში შემჩნეულ ბიუროკრატიზმს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. პროფკავშირის დღეს--ხუთშაბათს, პროფმუშაკები უნდა გავანთავისუფლოთ სხვადასხვა პარტიულ თათბირებისა, სხდომებისა და სხ. საქმეებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში პროფორგანიზაციები დროზე ვერ შეასრულებენ გეგმით დასახულ მასიურ მუშაობას. ორატორი ამბობს, რომ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების გაჭიანურებაში ბრალი ედებათ სამეურნეო მუშაკებს, რომელნიც ხშირად სვამენ საკითხს კოლექტიურ ხელშეკრულებებიდან ...

ამხ. მდივანი

ამხ. ავალიანი

ამხ. ჩიხლაძე

ამხ. ნიკიტინი

ამხ. ურულაშვილის საბოლოო სიტყვა

სოციალური დაზღვევა

უკანასკნელი სხდომა

სამანდატო კომისიის მოხსენება

შეცდომის გასწორება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დროა ეს საკითხიც მოგვარდეს
(საგარეჯოს თემი, თბილ. მ.)

ბევრი დაიწერა, როგორც ცენტრალურ პრესაში, ისე ადგილობრივ კედლის გაზეთებში საგარეჯოს თემის ანტისანიტარულ მდგომარეობაზე. მაგრამ ყველაფერი დღემდე დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. მართალია აღმასკომის მიერ გამოყოფილია სამისო კომისია მაგრამ, აქ სჭირს წერტილი დაუსვათ.

თემის მოსახლეობას აწუხებს კიდევ ერთი გარემოება. თემს არა ჰყავს სანიტარული ექიმი. მართალია გვაქვს საექიმო განყოფილება. მაგრამ განყოფილების გამგე მხოლოდ—ერთი ექიმი — ავადმყოფების მიღებას ვერც კი ასწრებს. როგორც თვითონ ამბობს არცაა მოვალე სანიტარული ექიმის საქმე შეასრულოს.

დღეს კი, როცა ასე გავრცელებულია გლეხობაში სხვადასხვა პროფესიონალური სნეულებანი, საჭიროა ხშირად იმართებოდეს სანიტარულ-ჰიგიენური ხასიათის მოხსენება-საუბრები. (ასეთები ძალიან აინტერესებს გლეხობას). გარდა ამისა თემში სწავლობს ორი ათასამდე მოსწავლე ახალგაზრდა, რომელთაც სჭირდება თვეში ერთხელ თუ არა, 3 თვეში ერთხელ მაინც საექიმო გასინჯვა. აგრეთვე არსებობს სხვადასხვა წრეები, როგორიც არის ფიზკულტურის და სხვა... ამისათვის კი საჭიროა ექიმი, რათა შემოწმებულ იქმნეს წრეში მოვარჯიშე წევრები, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ზოგიერთს წრეში ვარჯიშობამ სარგებლობის მაგიერ ზიანიც მოუტანოს.

საჭიროა თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ დროზე მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და გამოგვიგზავნოს სანიტარული ექიმი, მით უმეტეს რომ ასეთისათვის შტატი უკვე გათვალისწინებული ყოფილა.

ალ. ბედიაშვილი.

როგორ მივლიდენ საავადმყოფოში

ნათქვამია სიბერემდის სიჭაბუკეს ელოდეო ეს თქმულება სწორეთ ჩემზე ასრულდა.

ვიღაცის ეგონოს რომ ამ წერილის დამწერი დიდი გართული იყოს წიგნსა და რედაქციებში წერილის წერით. პირიქით, მე ვარ სოფლის ერთი მოხუცებული, 80 წლის გლეხკაცი. ჩემი მუშაობა დაბადებიდან თოხზე იყო და არის დაყრდნობილი. ეს გარემოება სულ სხვა რამით არის გამოწვეული, რომ მე ამ წერილს ვწერ.

30 წელიწადია რაც მე ავადმყოფობით ვარ დატანჯული. მთელი ჩემი დღენი ექიმებში დავდიოდი და უკანასკნელი ჩემი ლუკმა პურის საფასურს სულ მათ ვაძლევდი. ეს იყო ნიკოლოზისა და მენშევიკების რეჟიმის დროს, მაგრამ საშველი მაინც არ მქონდა. მხოლოდ ერთი თვე იქნება მას აქეთ, რაც დავწექი კამოს სახელობის საავადმყოფოში, სადაც მთავარ ექიმათ არის ამხ. დავითაშვილი. უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი დაწოლა სულ უიმედოთ მიმაჩნდა. ეხლა კი მთლიანად გაჯანმრთელებული ვბრუნდები ჩემს ქოხში და უნდა შევუდგე ჩემს ძველებურ მუშაობას, უნდა მოვკიდო ჩემს საყვარელ თოხს ხელი.

გაოცებაში ვარ მოსული საავადმყოფოს მოსამსახურეების მოქცევით. მთავარ ექიმიდან შვეიცარამდე დღე და ღამ თავზე მადგენ და სულ იმას ცდილობდენ როგორმე ოპერაცია და საერთოდ ავადმყოფობა გაემსუბუქებიათ. ჩემს 80 წლის სიცოცხლეში პირველათ მიხდება ასეთი მაგალითის დანახვა, რომ გლეხს ასე ეპყრობოდენ ქალაქად.

მე უნდა ფართოდ გავაცნო ჩემს მოძმე გლეხობას, რომ ხელისუფლება მართლაც მუშებისა და გლეხებისათვის ზრუნავს.

ბადდო ჩხეიძე.

ქურდობა გახშირდა
(ხევის თ., დუშ. მ.).

ამ ბოლო დროს მეტად გახშირდა ქურდობა. ტეხენ კოოპერატივებს. ჩვენს თემში გასტეხეს ორი კოოპერატივი, საიდანაც გატანილი იქნა ფული და საქონელი. ქურდები შეპყრობილია, წაღებული საქონლის რაოდენობა ჯერ თითქმის გამოურკვეველია. რომ ეს შემთხვევა ავიცილოთ თავიდან და დავიცვათ ბოროტ განზრახველებისაგან სახალხო ქონება, საჭიროა კოოპერატივის ნოქრებმა იკისრონ ზოგჯერ მაინც ღამის გათევა კოოპერატივში.

იყო ასეთი შემთხვევაც: ნოქარს დახლიდან ამოაცალეს ფული. იყო მეორე შემთხვევა: ნოქარს დუქანში ძაღლი დარჩა. იმ ღამეს ძაღლის ყეფის ხმა აზარებდა იქაურობას. ნოქრებს მეტი სიფრთხილე მართებთ სახალხო ქონებისადმი.

ალო.

მივიწყებული საქმე
(საჩინო, ქუთ. მაზრა)

საჩინოს მხარე მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს და წარმოადგენს ერთ უმდიდრეს კუთხეს ქვემო იმერეთში. სიმინდი, ბამბა, პარკი, ღვინო, ხილი, ხე-ტყე, სამკურნალო წყლები, საძოვარი მთები—აი მისი სიმდიდრე. ხეირიანი გზების უქონლობის და რიონზე უხიდობის გამო, გლეხობა ქუთაისის და სხვა ბაზრით ვერ სარგებლობს. მათ ნაწარმოებს მუქთად იგდებენ ხელში სხვადასხვა კუთხეებიდან მოსული ჩარჩები. რიონზე თუმცა ოთხ ადგილზეა ბორანი, მაგრამ წყლის კალაპოტის ხშირი ცვლილების გამო, მათი მუშაობა ნახევარჯერ შეჩერებულია, მეტადრე წყალდიდობის დროს.

საჩინო პირდაპირი გზით ეახლოება სადგურ მუხიანს, ამ მიმართულებით 1911—12 წელში ტეხნიკოსმა ხალხისგან არჩეული კომისიის თანხლებით დაგეგმა გზა მუხიანიდან. ზედა-საყულიაში გავლით ყოფილ ბესოშვილების სანამდი, სადაც უნდა გაკეთებულიყო ხიდი რიონის ორივე მხარეზე მდებარე საზოგადოების მკვიდრთა დახმარებით; მაგრამ ომმა ჩაშალა ეს გეგმა. მას შემდეგ ეს საკითხი მივიწყებულია.

დღეს, როცა მთელს საქართველოში ყოველს დარგში ფართე მშენებლობაა დაწყებული და ხელისუფლებაც ამ მშენებლობას დიდათ უწყობს ხელს, საჭიროა ამ მივიწყებული საკითხის წამოყენება. საჭიროა ამის შესახებ დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა აქედანვე მიიღონ ზომები.

თემელი.

სოფლის ქრონიკა

— ფიზიკური კაბინეტი. ხაშურის აღმასკომი სოფ. ქვიშხეთის შრომის სკოლისთვის იძენს ფიზიკურ კაბინეტს.

— სათესლე სიხხი. გორის მაზრაში დაიწყო გლეხობაზე გაცემულ სათესლე სესხის აკრეფა.

— ზუგდიდის სამაზრო - საქალაქო და სათემო ბიუჯეტი 1926—27 წელში შედგენილია შემდეგნაირად: შემოსავალი — 602.346 მ., გასავალი—588.686 მანეთი.

— მიწის ყიდვა - გაყიდვა. სენაკის აღმასკომმა დაადგინა მიიღოს სასტიკი ზომები მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ.

— ქოხ - სამკითხველო. ზუგდიდის მაზრაში დღემდე გაიხსნა 22 ქოხ-სამკითხველო.

— თელავის აღმასკომმა ადგილობრივ ელექტრო - სადგურისათვის თბ. აღმასკომიდან შეიძინა ელექტრომოტორი.

— პროფსკოლა. თელავის აღმასკომი სოფ. ჯოყოლოში ხსნის პროფსკოლას.

— სამაგალითო თემი. ლიხაურის თემმა (ოზურგეთის მაზრა) სასოფლო - სამეურნეო გადასადი სავსებით გადაიხდა.

— ელსადგურისათვის ახალი დინამოს შესაძენად ხაშურის აღმასკომმა გადასდო 22.500 მანეთი.

უნდა მოეწყოს ინვალიდების სახლი

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატში ძალიან ხშირად შემოდის მომართვა დამზღვევ სალაროდან, და კერძოდ დამზღვევ სალაროს პენსიონერიდან იმის შესახებ, რომ კომისარიატის ინვალიდების სახლში მივიღოთ (ფასად, რასაკვირველია) ესა თუ ის დაზღვეული პენსიონერი ინვალიდი სრულ კმაყოფაზე. საქმე იმაშია, რომ სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის საინვალიდო სახლს (დაახლოებით ასი სულისათვის) ორივე სქესისათვის. განა არ არის მარტოხელი პენსიონერი ინვალიდი, რომელსაც ენიშნება კარგა მოზრდილი პენსია თვიურად, მაგრამ ხსენებულ ინვალიდ-პენსიონერს არ ჰყავს მომვლელი. ის დიდი სიამოვნებით მოთავსდება ინვალიდების სახლში, სადაც დამზღვევ სალაროს მისი შენახვა გაცილებით ნაკლები დაუჯდება. მეორე მხრით არის ინვა- [illegible]

ა. ხომერიკი.

მუშათა ცხოვრება

მუშკორთა კრება

ოთხშაბათს, 19 იანვარს, სალამოს 5 საათზე რედაქციის ბინაზე

შესდგება „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს მუშკორთა გაერთიანებული კრება

გაკეთებულ იქნება მოხსენება:

ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

ვსთხოვთ ყველა მუშკორებს დაესწრონ აუცილებლად. სასურველია კედლკორების და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების დასწრება.

გავაუმჯობესოთ მტვირთველების მდგომარეობა

რამდენიმე დღის წინად ჩვენთან მოთავსებული იყო ამხ. ფრუიძის კორესპონდენცია ტვირთმზიდავ მუშების მდგომარეობის შესახებ. როგორც წერილიდან სჩანს ტვითმზიდავ მუშების მდგომარეობა ერთობ ცუდია. მათი შრომის პირობები თითქმის ყველა სხვა დარგის მუშების მდგომარეობაზე უფრო უარესია. მუშა 9 წლის შრომის შემდეგ ავათმყოფდება და ინვალიდი ხდება. მტვირთველების 45 პროცენტი დაავათმყოფებულია სხვადასხვა სნეულებებით. რით აიხსნება ეს? ეს აიხსნება შემდეგით: მტვირთველები ისეთ პირობებში მუშაობენ, რომ ეს პირობები შლის და აავათმყოფებს ადამიანის აგებულებას. ტვირთის გადატანა რა სიმძიმისა არ უნდა იყოს მუშას უხდება ზურგით. აბა როგორ იმოქმედებს მუშაზე ხუთი ფუთი ტვირთის, და ხანდახან კიდევ მეტისაც, 25—30 საჟენის მანძილზე გადატანა. მექანიზაცია სუსტადაა გატარებული, არ არის ვაგონეტკები, ტაჩკები და სხვ. გადასაზიდი მანქანები.

მტვირთველების ასეთ აუტანელ მდგომარეობას უსათუოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მტვირთველებსაც ადამიანურად უწევდეს მუშაობა, რომ მათაც შეეძლოს მუშური სახელმწიფოსთვის ხანგრძლივი შრომა. ჩვენ გვგონია უყურადღებობით აიხსნება, რომ ამდენი ხანი ასეთ აუტანელ პირობებში მუშაობენ მტვირთველები. შეიძლებოდა შესაძლებლობის ფარგლებში მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, განა არ შეიძლებოდა იმის გატარება, რომ [illegible]

ასეთი დაუდევრობა არ გვეპატიება

როცა ამბობენ, ან სწერენ, რკინისგზაზე დისციპლინა დაეცაო — ჩვენ გვწყინს და კიდევაც ვიბუტებით, როგორ გაგვიბედეთ და შეურაცხყოფა მოგვაყენეთო.

სამწუხაროდ ასეთი დაუდევრობა და დისციპლინის დარღვევა რკინისგზაზე ხშირად ხდება.

აი ორი მაგალითი: ამ დღეებში თბილისმა გაისტუმრა ნავთლუღისაკენ საგზო მატარებელი. ცოტა ხანს შემდეგ მას გააყოლა ორთქლმავალი, რომელსაც ჰქონდა დანიშნული გამოცდა. ამ ორთქლმავალმა (მემანქანე ვაშაკიძე) დაეწია მატარებელს, დაეჯახა ბოლო რონოდას, საცა ისვენებდა ორთქლმავლის გუნდი, და დააზიანა ის. ეს წმინდა წყლის დაუდევრობა და უყურადღებობაა.

მეორე: ამ დღეებშივე მემანქანე ჯოშკილმა მოიყვანა თბილისში საგზო მძიმე მატარებელი. გაიარა თბილისის სადგურზე გასაჩერებელი ნიშანი და დააზიანა სამიმოსვლო ორთქლმავლის რონოდები. აქაც ზარალი ნახა რკინისგზამ, ზარალი ვნახეთ ყველამ. ასეთი დაუდევრობა არ გვეპატიება.

ასეთი სამსახურით ზოგიერთების მიერ, საზოგადოდ ლი უტყდება მთელ ორთქლმავლის გუნდებს, ყველა რკინის გზელებს. ასეთ მოვლენებს ჩვენ თვით უნდა მოუღოთ ბოლო.

მემანქანე.

ბოროტება გრძელდება

ზოგიერთი ამხანაგები რკინის გზებზე უბედურ შემთხვევათა მიზეზად ასახელებენ თანამშრომლების დაუდევრობას, თვითნებობას, [illegible]

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

ვებრძოლოთ ნათესაურ კავშირის გამოყენებას.

ნათლი-მამობას და ნათესაურ შენ-ჩემობას საზოგადოთ ყველგან ვხვდებით, მაგრამ ეს სენი განსაკუთრებით საგრძნობია სოფლად. აქ ნათესაური კავშირი უფრო „წმინდათაა“ დაცული, ვიდრე სხვაგან.

თავის თავად ამაში არავითარი ბოროტება არ იქნებოდა, რომ ამ კავშირს ზოგჯერ საზოგადო საქმის საწინააღმდეგოთ არ იყენებდენ. ეს უნდა ითქვას არა მარტო იმის შესახებ, რომ ნათესავები ერთმანეთს ეხმარებიან კარგი ადგილების დაჭერაში, საქმეების მათ სასარგებლოდ მოწყობაში და სხვა. ნათესაურ კავშირს ერთგვარი ზიანი შეუძლია მოუტანოს საარჩევნო კამპანიასაც.

პირველ ყოვლისა ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ. ხშირად ხდება, რომ კულაკი ნათესაურათ დაკავშირებულია მთელ რიგ ღარიბ გლეხებთან. რასაკვირველია, ამ კავშირს კულაკი ყოველთვის თავის სასარგებლოდ იყენებს. ნათესაობა მას ზოგჯერ ხელსაც უწყობს, რომ ღარიბ გლეხს უკანასკნელი ლუკმა გამოაცალოს პირიდან. ასევე შეუძლია კულაკს ნათესავი ღარიბი გლეხით ისარგებლოს საბჭოთა არჩევნების დროსაც.

ჩვენმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამ შესაძლებლობის ასაკვეთად უნდა აქედანვე მიიღონ ზომები. მათ უნდა მოახერხონ კულაკობისათვის ნათესაურ გრძნობის საშუალებით ღარიბ გლეხთა უფლებების ექსპლოატაციის საშუალების მოსპობა.

წარსული არჩევნების გამოცდილებით ვიცით, რომ ამგვარ ფანდებს ჰქონდა ადგილი. კულაკებმა შესძლეს აქა-იქ ნათესავ ღარიბების საშუალებით თავის სასურველ კანდიდატების გაყვანა საბჭოში და აღმასკომში.

ამას გარდა ნათესაურ კავშირით შეუძლიათ ისარგებლონ ისეთებმაც, რომელნიც ღირსნი არ არიან მშრომელი მასის ნდობისა, რომ ისინი არჩეულ იქნან საბჭოში.

საბჭოს საანგარიშო მოხსენების დროს საქმიანი კრიტიკა არ უნდა დაჩრდილოს არც ამხანაგურ და არც ნათესაურ გრძნობამ. ეს, როგორც ვიცით, არც ისე იშვიათი მოვლენაა.

ნათლი-მამობა და ნათესაური მფარველობა გამოსარჩლება ერთი საზოგადო სენთაგანია, რომელსაც ებრძვის ჩვენი ხელისუფლება. ამ სენის საშიშროება არსებობს არჩევნების კამპანიაშიაც. ამიტომ სანამ კიდევ დროა, ადგილებზე უნდა ჩატარებულ იქნას მუშაობა ასეთი შესაძლებლობის ასაკვეთად.

რაკი.

მუშაობა დაწყებულია
(გურია)

საბჭოების გადარჩევა ჩვენში უკვე დაიწყო. პარტია, ხელისუფლების ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები დიდი დაკვირვებით შეუდგენ ამ საქმის ასრულებას.

საარჩევნო უბნებზე მიმაგრებული ამხანაგები უკვე გავიდან თემებში. თემებშივე სწარმოებს და მალე დასრულდება საარჩევნო სიების შედგენა და ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარება.

წელს კი განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ღარიბების ამოძრავებას და მათ ჩაბმას საბჭოთა აღმშენებლობაში. მთელი გურია დაყოფილია 69 საარჩევნო უბნათ (სულ 37 თემია) და ვფიქრობთ, რომ ამ საშუალებით შარშანდელი 56 პროც. დასწრება საარჩევნო კრებებზე აციყვანოთ 70—80 პროცენტამდე.

არჩევნებისათვის სამზადისს ჩვენ დავასრულებთ ხუთ თებერვლისათვის, საბჭოების გადარჩევას (ძირითად აპარატის) პირველ მარტისთვის.

ცუდმა ამინდებმა თუ ხელი არ შეგვიშალა (გურიაში ეხლა თოვს), მიმდინარე გადარჩევის წარმატებით ჩატარებისათვის ყველა პირობება ხელსაყრელია.

მეგობარი.

მესამე რაიონში (თბილისი)

მესამე რაიონის საარჩევნო კომისია იტყობინება, რომ 16 იანვრიდან დაიწყო ამომრჩეველთა საზოგადო კრებების მოწვევა შემდეგი დღის წესრიგით:

ანგარიში თბილისის საბჭოს და თბილისის აღმასკომის მოქმედების შესახებ.

საანგარიშო კამპანიის ჩატარების წესი ასეთია:

[illegible]

კომისარიატი, შტატ გარეშე ტრანსპორტი, მეჩანძრენი, მასწავლებელნი, კომპარტიის და კომკავშირის რაიკომი—ავლაბრის მუშათა კლუბში.

4) 19 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე—სასაკლაო, რადიო-სადგური, ნავთლუღის რაიონის მებაღენი—ქალაქის სასაკლაოს კლუბის შენობაში.

[illegible]

ახალი ექიმები

ექვსწლიანი სისტემით კურსდამთავრებულ ექიმთა სია
(1926 წლის შემოდგომის [illegible])

აბაშიძე ივლიტა არისტოტელის ასული, **ალექსიძე** მარიამ ესტატეს ასული, **ანდრონიკაშვილი** ნინო ალექსანდრეს ასული, **ანჯაფარიძე** ლევან ივლიანეს ძე, **ასიტოვი** გიორგი იაკობის ძე, **ბარნოვი** ნატალია ალექსანდრეს ასული, **ბაქრაძე** აკაკი გექტორის ძე, **ბრეგვაძე** სერგო დარისპანის ძე, **ბლიაძე** ეფემია სოლომონის ასული, **ბუაჩიძე** პეტრე გიგოს ძე, **გაბუნია** თამარ ალექსანდრეს ასული, **გვილავა** რაჟდენ ივანეს ძე, **გრიგოლია** სიმონ ერასტის ძე, **გოგოლაშვილი** ანა გედეონის ასული, **დადიანიძე** თამარ ვასილის ასული, **დავითაშვილი** შალვა ივანეს ძე, **ებანოიძე** ვახტანგ პლატონის ძე, **ებანოიძე** ქეთევან ვლადიმერის ასული, **ელისაშვილი** ბარბარე ილარიონის ასული, **ვასაძე** ევსიხი (ვასილი) ტროფიმეს ძე, **ვართანოვი** გრიგოლ მიხეილის ძე, **ზედგინიძე** გიორგი არტემის ძე, **ზურაბაშვილი** ავლიპი დავით. ძე, **თავდიდიშვილი** მიხეილ იაკობის ძე, **თარგამაძე** შუშანა სტეფანეს ასული, **თვალავაძე** ივანე ალექსანდრეს ძე, **კანდელაკი** ქეთევან ვლადიმერის ასული, **კახაბერი** თამარ დავითის ასული, **კუტალაძე** ალფ. სპირიდონის ძე, **მიქაბერიძე** იოსებ ბესარიონის ძე, **მირიმიანიან** აშხენ აროუთუნის ასული, **მიქელაძე** თამარ სიმონის ას., **მოდებაძე** ლიუდმილა იაკინთეს ასული, **მათიაშვილი** გრიგოლ ვასილის ძე, **მაღრაძე** კონსტანტინე გაიოზის ძე, **მანჯგალაძე** ლავრენტი კონსტანტინეს ძე, **მელაძე** კაპიტონ კასიანის ძე, **მახარაძე** ვერა იაკინთეს ასული, **მათეშვილი** გიორგი, [illegible] **ნიკოლაძე** [illegible] ხი ილია ივანეს ძე, **მირიანაშვილი** გიორგი ნიკოლოზის ძე, **ცხვედაძე** ვლადიმერ ლეონტის ძე, **მგალობლიშვილი** ოლღა ანდრიას ასული, **ნიორაძე** დავით პეტრეს ძე, **რამიშვილი** ანასტასია ირაკლის ასული, **ობოლაძე** პავლე ლუკას ძე, **ჟღენტი** შარია პანტელეიმონ ბესარიონის ძე, **სიხარულიძე** თამარ მიხეილის ასული, **სულხანიშვილი** თამარ ივანეს ასული, **ფიფია** ეგნატე ყაიას ძე, **ფხაკაძე** ქეთევან ვასილის ასული, **ფალავანდიშვილი** თამარ დავითის ასული, **ფერშანგოვი** ალექსანდრე ბალდასარის ძე, **რაზმაძე** იაკობ მიხეილის ძე, **ქავთარაძე** გერასიმე დიმიტრის ძე, **ღრუბელაძე** ნადეჟდა ზაქარიას ასული, **შავთვალიშვილი** რუსუდან დიმიტრის ასული, **შანიძე** ვასილ კონსტანტინესძე, **შიუკაშვილი-მოსეშვილისა** თამარ კონსტანტინეს ასული, **შველიძე** ივანე ხარიტონის ძე, **ჩანტლაძე** ტროფიმე იაგორის ძე, **ჩეჩელაშვილი** გაბრიელ გიორგის ძე, **ჩუბინიშვილი** მარიამ ადამის ასული, **ცაგარეიშვილი** ნინო ემელიანის ასული, **ცანავა** ვასილ გიორგის ძე, **ციბაძე** დავით საბას ძე, **ცისკარიშვილი** ლევან დიმიტრის ძე, **ციციშვილი-ვაშაკიძისა** ნინო იოსების ასული, **ცერცვაძე** ნინო გიორგის ასული, **ცომაია** პარმენ ჯამულეთის ძე, **წივწივაძე** დავით ილარიონის ძე, **ჭავჭავაძე** მარიამ (მერი) ირაკლის ასული, **ჯანუაშვილი** ელენე ივანეს ასული.

ცეკავშირის 10 წლის თავი

საქართველოს ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ ცეკავშირის არსებობიდან 10 წლის შესრულების გამო, მიიღო შემდეგი მისალმება:

„სრულიად საქართველოს კოოპერაციის წარმომადგენელნი, რომელნიც შეკრებილნი არიან ცეკავშირის მორიგ მე-12-ე ყრილობაზე სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი სისტემის წარ- [illegible]

ამინდი

ფოთში

გუშინ დილით ქროდა აღმოსავლეთის ძლიერი ქარი, რომლის ძალა 8 ბალს აღწევდა. ზღვაზე ძლიერი ღელვაა. ტემპერატურა + 1,8 გრადუსს აღწევს. წვიმები შესწყდა.

ბათომში

[illegible]

თათბირები და კრებები

[illegible]

რკინისგზაზე

[illegible]

ქრონიკა

[illegible]

ქვანახშირი

[illegible]

დაფნის ფოთოლი

[illegible]

ღვინო

[illegible]

შემთხვევები

ქურდობა სახელმწიფო ბანკში

გუშინ საქართველოს საგეგმო კომისიის მოლარემ შნიდერმა სახელმწიფო ბანკიდან მიიღო 1.000 მანეთი. ფული ჩააწყო პორტფელში. შემდეგ მივიდა მეორე სალაროსთან, რადგან აღნიშნული ფულის ნაწილი უნდა გადაეხურდავებინა ვერცხლის ფულზე. პორტფელი დასდო მაგიდაზე. მან ხელი ჩაჰყო პორტფელში ფულის ამოსაღებათ; პორტფელში მან დაიჭირა რ. ალავერდიშვილის ხელები.

აფერისტი ალავერდოვი და ა. გოლოდინი, რომელიც ალავერდოვს ეხმარებოდა 1.000 მანეთის მოპარვაში—ორივე დააპატიმრეს.

ალავერდოვს აღმოაჩნდა ქურდობისა და აფერისტობის 3 რეგისტრაცია.

აფერისტის დაპატიმრება

სადგურ ნავთლუღიდან გლეხ არუთინ მარდანიანცს სადგურ ბუფეტში მიჰქონდა ერთი ტომარა ტყავეულობა, ფართალი და სხვა ნივთები.

გლეხთან მივიდა უცნობი კაცი და გამოეცნაურა. უცნობმა გაიგო, თუ სად მიდიოდა გლეხი მარდანიანცი. დაუმეგობრდა გლეხს და უთხრა: „ეს ბარათი გადაეცი ბუფეტის პატრონს, იგი გამოგატანს ფულს, ნივთებს და შემდეგ ერთად ვიმგზავროთო". გლეხი წავიდა ბუფეტის მეპატრონისთან, სადაც გამოირკვა, რომ იგი მოტყუებით იყო გაგზავნილი.

მარდანიანცმა ამის შესახებ განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში.

ს. ს. მილიციამ აფერისტი შეიპყრო, რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის სტეფანე მარტიროზოვი.

გაქურდულმა გლეხმა აფერისტი გამოიცნო.

დაქტილოსკოპიის (თითების გასინჯვა) საშუალებით გამოირკვა, რომ დაპატიმრებული აფერისტი არის არა მარტიროზოვი, არამედ სტეფანე გეურქის ძე ასატუროვი, რომელსაც ქურდობის რამოდენიმე რეგისტრაცია აქვს.

სახელგამის მაღაზიის გამქურდავთა დაპატიმრება

14 იანვარს გაქურდეს რუსეთის სახელგამის მაღაზია, მდებარე რუსთაველის გამზირზე № 16-ში. ქურდობა მოხდა შემდეგ პირობებში:

სახელგამის მაღაზიის გვერდით მოთავსებულია ყვავილებით სავაჭრო; ბოროტმოქმედებმა, ღამით, მორგებული გასაღების საშუალებით, გააღეს ეს სავაჭრო. გამოანგრიეს წიგნის მაღაზიის კედელი და წაიღეს 1.200 მანეთის ნივთები.

სისხლის სამართლის მილიციის მიერ მიღებული ზომებით ორი ბოროტმოქმედი შეიპყრეს თბილისში. ესენი აღმოჩნდნენ: მიხეილ პეტროვი და გიორგი ელიხაშვილი.

მესამე ბოროტმოქმედი ვასილ პრუტკოვი დააპატიმრეს ბათომში; მას აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთების ნაწილი.

ბოროტმოქმედნი გამოტყდნენ დანაშაულობაში.

ნაქურდალი ნივთები აღმოჩენილია და ჩაბარდა კუთვნილებისამებრ.

ქალის გატაცება.

16 იანვარს, საღამოს 6 საათზე, კუკიის სასაფლაოს ახლოს მოხდა შემდეგი ბოროტმოქმედება: სოფ. ოლგინსკიდან მოდიოდა სოფიო ანტონის ასული ზინიუგი; მას თან ახლდა ნათესავი ქალიშვილი—თამარა კ... ტას ასული დიქტერევა, 17 წლის. კუკიის სასაფლაოს ახლოს მათ დაუხვდა ორი შეიარაღებული პირი, რომელთაც გაიტაცეს დიქტერევის ქალი. ზინიუგის ქალმა ეს ამბავი განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას და თან დაუმატა, რომ ერთ-ერთი გამტაცებელი მან იცნო. ეს არის მოქ. კარკარაშვილი (სახელი არ იცის), სოფ. ნოროლის მცხოვრები.

ჯიბგირობა.

15 იანვარს საღამოს რუსთაველის თეატრში ტანთსაცმელის საკიდიდან პალტოს მიღების დროს ვიღაცამ გაქურდა ივანე დავითის ძე ბერიძე. წაღებულია: 240 მანეთი ფული, ორი ვექსილი 10.000 მანეთის, გ. მასხარაშვილის ხელწერილით, მეორე ვექსილი 200 მანეთის არ. ბერიძის ხელმოწერილი და სხვა მოწმობები. ჯიბგირი მიიმალა.

—

◆ დაშავება. 15 იანვარს რიყის ქუჩაზე ავტომობილი დაეჯახა მოქ. ვანო მიზნიაშვილს და დააშავა. შოფერი აგამიროვი შეიპყრეს.

◆ დაჭრა. 16 იანვარს ბრიგადის ქუჩაზე არშაკ ბალიაშვილმა დანით დაჭრა ვახტანგ გოგიჩაიშვილი. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ ცეცხლი. 16 იანვარს სინოდის შესახვევი, № 7, ლევან მირველოვის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა.

◆ შეპყრობა. 16 იანვარს ცენტრალურ ბაზარში შეიპყრეს ქალი ყურბან ალალი-ზადე, რომელმაც მოიპარა ხალიჩა.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

დახვრეტა ყაჩაღობისათვის

გუშინ აღმოსავლეთ-საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: სავანელის და ლეკვეიშვილის, პროკურორ გრიგოლიას და მდივან გეწაძის მონაწილეობით გაარჩია გერასიმე მიხეილის ძე ნასიბოვის და ოგანეზ სიმონის ძე ვართანოვის საქმე.

ნასიბოვს და ვართანოვს ბრალდებოდათ ყაჩაღობა.

საქმის შინაარსი ასეთია:

1926 წ. 11 მაისს, საღამოს დაახლოებით 9 საათზე, ნასიბოვი კომუნარების ბაღთან შეხვედრია გალია მასკალიდინას ქალს. ამ უკანასკნელს დაეძებდა სისხლის სამართლის მილიცია, რადგან მასკალიდინამ ბაქოში ყოფნის დროს მოიპარა 1.500 მანეთი.

ნასიბოვი გაეცნო მასკალიდინას ქალს. ამ დროს ნასიბოვის მახლობლად გაუვლია მის მეგობარს ვართანოვს.

ნასიბოვმა ვართანოვს გააცნო მასკალიდინას ქალი.

ამ უკანასკნელმა ნასიბოვი და ვართანოვი დაპატიჟა ლენინის ქუჩაზე № 80-ში მდებარე ჭავჭავაძის სასადილოში.

„მეგობრებმა" იქეიფეს. სასადილოს მეპატრონის ანგარიში გაუსწორა მასკალიდინას ქალმა.

ქეიფის შემდეგ ვართანოვმა და ნასიბოვმა მათი „მეგობარი" ქალი გაიტაცეს ვერის ხიდის ახალ გზაზე წაართვეს 160 მანეთი, ხოლო ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის მიზნით ქალს მიაყენეს 14 ჭრილობა. ნასიბოვსა და ვართანოვს მასკალიდინა მკვდარი ეგონა ეგონათ და მიიმალენ.

მასკალიდინას ქალმა (დაჭრილმა) მორთო ყვირილი. საგუშაგოზე მყოფ მილიციელს მოესმა ქალის კვნესა და, როცა მივიდა შემთხვევის ადგილზე—ნახა, რომ მასკალიდინან ქალი სისხლში სცურავდა.

დაზარალებულმა დაასახელა ბოროტმოქმედთა ვინაობა და განუცხადა მილიციელებს, რომ მას წაართვეს 160 მანეთი და შემდეგ დანით რამოდენიმე ჭრილობები მიაყენეს.

მასკალიდინას ქალი მიღებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს.

სასამართლოში ბრალდებულებმა თავი სცნეს დამნაშავედ დანის დარტყმაში და დასძინეს, რომ ფულის წართმევას ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ მოწმეთა დაკითხვით და საქმეში დართულ მასალების მიხედვით სცნო, რომ ბრალდებულებმა წინასწარი შეთანხმებით მასკალიდინას ქალი სასადილოდან წაიყვანეს ვერის ხიდის ახალ გზაზე და ძალით წაართვეს 160 მანეთი და მიაყენეს 14 ჭრილობა.

ხანგძლივი თათბირის შემდეგ სასამართლომ დაადგინა:

ბრალდებულ გერასიმე მიხეილის ძე ნასიბოვს და ოგანეზ სიმონ. ძე ვართანოვს მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, მთელი ქონების კონფისკაციით.

სამხედრო ტრიბუნალში

20 იანვარს, ქართულ დივიზიის სამხედრო ტრიბუნალი გაარჩევს მე-2-ე ქართულ დივიზიის ცალკე ესკადრონის ყოფილ მეთაურის ვარლამ ანდრიას ძე შენგელაიას საქმეს.

შენგელაიას ბრალდება ამავე ესკადრონის წ. მოლ. გერსამიას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა და აგრეთვე ხელისუფლების სახელის გატეხა.

საქმეზე გამოწვეულია 17 მოწმე.

„საშემოსავლო წყარო"

(ფარაჯანოვის და სხვათა საქმე)

მეორე დღე

გუშინდელ სხდომაზე სასამართლომ დაჰკითხა მრავალ მოწმეს.

დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ფარაჯანოვს 1924—25 წ. სასადილოში (მამადავითის ქ. № 4) მოწყობილი ჰქონდა გარყვნილების ბუდე.

სასადილოს დუქნიდან კარები გადიოდა „სტუმრების" მისაღებ ოთახში.

ფარაჯანოვი და „ძმანი მისნი" დიდი ხანია ეწეოდენ სხეულით ვაჭრობას.

ფარაჯანოვს თავისი „ძმა-ბიჭების" საშუალებით დაქირავებული ჰყავდა როსკიპი ქალები. „შემოსავლიდან" ფარაჯანოვი იღებდა 50 პროცენტს.

მოწმეებმა აღნიშნეს აგრეთვე, თუ როგორ იქნა აღმოჩენილი ფარაჯანოვის სასადილოში გარყვნილების ბუდე.

გუშინ, საღამოს სხდომაზე სასამართლომ დაჰკითხა ბრალდებულებს.

ბრალდებული ფარაჯანოვი თავს არ სცნობს დამნაშავედ.

ბრალდებული ინჯგია აღნიშნავს, რომ ის ირიცხებოდა სასადილოს თანამშრომლად.

ხარჭისოვი და გრიგოლ და არმენაკ ბაგრამოვები აღნიშნავენ, რომ სასადილოში მათ ქალები დაჰყავდათ ფარაჯანოვის „ბრძანებით".

შემდეგ მოსმენილ იქნა მხარეების კამათი.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ამხ. ჭელიძემ გრიგოლ ბაგრამოვს მოხსნა ბრალდება, ხოლო დანარჩენ ბრალდებულების მიმართ მხარი დაუჭირა ბრალდებას და მოითხოვა მათი პასუხისგებაში მიცემა სისხლის სამართლის კოდექსის 176 მუხლის მიხედვით.

შემდეგ მოსმენილ იქნა დამცველების სიტყვები.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

მატარებლის დამტვრევა

19 იანვარს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ ნაძალადევში გაირჩევა მემანქანე სოლომონ ტიტვინიძის საქმე.

1926 წ. ოქტომბერს, სადგურ შაქარლოდან 5 საათზე და 10 წუთზე გამოვიდა საბარგო მატარებელი № 330. მატარებელი სად. ფოილოში მიღებული იქნა მეორე ლიანდაგში და ასცდა სადგურის საკონტროლო ნიშან-სვეტს დაახლოებით 6 საჟენის სიღრმეზე. ეს გარემოება საფრთხეს უმზადებდა სადგურ სალოგლიდან შემომავალ მატარებელს № 321.

საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით, ეს გარემოება ტიტვინიძემ იცოდა, მაგრამ არ მიიღო ზომები, მიუხედავათ იმისა, რომ მას ჰქონდა საკმაო დრო. ამ დროს სადგურ ფოილოში შევიდა მატარებელი № 321. ამ მატარებლის მემანქანე რუხაძემ იმის გამო, რომ ღამე იყო, ვერ შეამჩნია სადგურში მდგომი მატარებელი №330. ამის გამო აღნიშნული მატარებელი გადასცდენ ლიანდაგს, რასაც შედეგათ მოჰყვა ორთავე მატარებლის დამტვრევა.

შემთხვევის დროს გატყდა ნიშანსვეტის ფანარი, რის გამო მატარებელს გაუჩნდა ხანძარი. დაიწვა 2 რონოდა, დაზიანდა ლიანდაგი რამოდენიმე საჟენის სიგრძეზე.

ამ შემთხვევის გამო რკინის გზამ მიიღო—5.680. მანეთის ზარალი.

უბედურ შემთხვევის დროს დაიღუპა 231 მატარებლის მთავარი კონდუქტორი გოგიევი.

სასამართლოში გამოწვეულია მთელი რიგი მოწმეებისა.

აგრო-დახმარება

ა.-კ. ბამბის კომიტეტმა უკვე დაამუშავა აგროდახმარების გეგმა მებამბეობისათვის. გეგმა ახლო ხანში იქნება დამტკიცებული ცენტრში. გეგმით გათვალისწინებულია აგრო-დახმარებისათვის 221.473 მანეთის გადადება. ეს თანხა განზრახულია განაწილდეს შემდეგნაირად: აზერბეიჯანის მებამბეობას მიეცემა—157.000 მან., სომხეთისას—29.099 მანეთი, საქართველოსას—27.292 მანეთი და აფხაზეთისას—8.070 მანეთი.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

„არსრაიონი"—„სინათლე"

კვირას, 16 იანვარს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა პირველი კატეგორიის გუნდების—„არსრაიონის" და „სინათლეს" კალენდარული შეჯიბრი ქალაქის პირველობაზე.

მიუხედავათ იმისა, რომ „არსრაიონში" რამოდენიმე სათადარიგო მოთამაშე თამაშობდა, შეჯიბრი მაინც მისი გამარჯვებით დამთავრდა 5:1.

საქონლის დახოცვის გამო

მცხეთაში

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მცხეთაში საქონლის დახოცვის საქმეში ბრალი ედებოდა ბეითალ-ექიმს სანიკიძეს. აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს უფროსმა გამომძიებელმა ამხ. აბაშიძემ დაასრულა წინასწარი გამოძიება მცხეთაში საქონლის დახოცვის საქმეზე.

გამოირკვა, რომ სანიკიძემ არ მიიღო ყოველგვარი ზომები საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმეში. როგორც გამოძიებით და ექსპერტების დასკვნით გამოირკვა, საქონლის დახოცვის მიზეზი ყოფილა შემდეგი: სანიკიძემ ასაცრელი სისხლი აიღო ისეთი საქონლიდან, რომელიც დაავადმყოფებული იყო ჰეგორაგიული სეპტიცემიით (სისხლის მოწამვლა). მიუხედავათ იმისა, რომ სანიკიძეს ეჭვი შეეპარა იმაში, რომ ასაცრელი სისხლი იყო დაავადებული, ასეთი სისხლი მაინც საანალიზოდ გაუგზავნა მიწადმოქმედების კომისარიატის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის გამგეს სერგო რედკოს. ამ უკანასკნელის მიერ საქონლის სისხლის გასინჯვის დროს ყოველივე საჭირო წესები არ ყოფილა დაცული.

რედკომ გააკეთა სისხლის მხოლოდ მიკროსკოპიული ანალიზი. გარდა ამისა, რედკოს სისხლი უნდა ეცადა ცხოველზე შეშხაპუნებით, ე. ი. უნდა მოეხდინა ბაქტერიოლოგიური ანალიზი.

საანალიზოთ გაგზავნილი სისხლი რედკომ სცნო ვარგისიანად.

ამის შემდეგ სანიკიძემ აწარმოვა საქონლის ჭირის წინააღმდეგ აცრა, რის შედეგათ 6, 7 და 8 მაისს, მცხეთაში დაიღუპა 157 სული საქონელი.

გამოირკვა, რომ საქონლის ჭირით დასნეულებულ საქონლიდან ასაცრელად აღებული სისხლი, დაავადებული ყოფილა ჰეგორაგიული სეპტიცემიით, რამაც გამოიწვია საქონლის დახოცვა.

აღმასკომმა გლეხებს აუნაზღაურა დახოცილ საქონლის საფასური.

ამის გამო ლაბორატორიის გამგე სერგო რედკო და ბეითალი ექიმი რაჟდენ სანიკიძე პასუხისგებაში არიან მიცემული სამსახურისადმი გულგრილობისათვის.

ხიდი მდ. ცივზე

14 იანვარს უნდა მომხდარიყო რკინის ხიდის გამოცდა მდ.. ცივზე. მაგრამ უამინდობის გამო, ხიდის გამოცდა მოხდა შაბათს 15 იანვარს. გამოცდის საწარმოებლად გაემგზავრენ პროფ. ზავრიევი, გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ინსპექტორი ინჟ. ხელთუფლიშვილი, შავი ზღვის რკინისგზის სამმართველოს წარმომადგენელი ინჟ. კარელინი და სხვანი. გამოცდას ხელმძღვანელობდა პროფ. ზავრიევი. გამოცდას აწარმოებდენ ინჟენერი სპეციალისტები და პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის ძმხენელები. ხიდის საერთო სიგრძე 78 მეტრია.

გამოცდის დღეს დამთავრდა ფერმების შეღებვა. უმთავრესად სწარმოებდა ხიდის ფერმების გამძლეობის გამოცდა და აგრეთვე ცალკე ნაწილების ღუნადობის გამორკვევა.

გამოცდები დამაკმაყოფილებლად დამთავრდა. ხიდზე გაშვებულ იქნა 4 ორთქლმავალი საშუალო სიმძიმით 6.500 ფუთის რაოდენობით იმავე დღეს გაიხსნა მოძრაობა მდ. ცივის რკ. გზის ხიდზე.

ე ქ ს პ ო რ ტ ი

ა.-კ. საბაჟოს გამოკვლევით, 1926 დეკემბრის განმავლობაში ამიერ-კავკასიიდან უცხოეთში გაიზიდა 5.565.600 მანეთის საქონელი. დეკემბერში გაზიდვას აწარმოებდენ უმთავრესად შემდეგი ორგანიზაციები:—ა.-კ. სახელმწ. ვაჭრობის სააქციო ამხანაგობა, ნავთის სინდიკატი, ხე-ტყის საექსპორტო საზოგადოება, „საქართველოს მარგანეცი", სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობა და რუსეთ-ოსმალეთის სავაჭრო კავშირი. საქონლის გაზიდვა სწარმოებდა, როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ნ ა რ ე ვ ი

20 მილიონი ავტომობილი

შეერთებული შტატების ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცნობით, რეგისტრაციაში გატარებულ ავტომობილების რიცხვი სახელმწიფოში 1926 წ. პირველ ნახევარში უდრიდა 19.697.832, ე. ი. 1.927.141 აღემატებოდა 1925 წ. პირველ ნახევარში რეგისტრაციაში გატარებული ავტომობილების რიცხვს.

საავტომობილო გზა გერმანია-შვეიცარია-იტალია

ფრანკფურტში დაარსდა კომიტეტი, რომელიც ამუშავებს ჰამბურგ-ფრანკფურტ-ბაზელ-მილან-გენუას შორის საავტომობილო გზის გაყვანის პროექტს. ამ კომიტეტმა დაასრულა მოსამზადებელი მუშაობა აღნიშნული პროექტის რეალურად განსახორციელებლად.

ნიუ-იორკის კინო-თეატრების შემოსავალი

ნიუ-იორკის კინო-თეატრის „კაპიტალ"-ის საერთო შემოსავალი უკანასკნელი წლის განმავლობაში შეადგენს 2,25 მილიონ დოლლარს. სურათიდან „მხიარული ქვრივი" ერთი კვირის განმავლობაში შემოვიდა 68.700 დოლლარი. სურათიდან „გზა მანდელაისკენ" ლონ ჩანსის მონაწილეობით, მიუხედავათ ივლისის საშინელი სიცხეებისა, ერთი კვირის განმავლობაში შემოვიდა 52.092 დოლლარი; სურათმა „ბოგემა"-მ ჯონსონ ჯილბერტის და ლილიან გიშის მონაწილეობით ერთ კვირაში დასტოვა 60.889 დოლლარი.

ერთი მილიარდი—7 წელიწადში

ფორდის ქარხნების წმინდა მოგება მისი ბუხჰალტერიის ცნობით 7 წლის განმავლობაში (1917—1923 წ.) შეადგენს 526.441.951 დოლლარს, ე. ი. ერთ მილიარდ მანეთზე მეტს. ეს არის ოფიციალური ცნობები. სინამდვილეში მოგება, ალბათ, გაცილებით მეტი იქნება.

ოფიც. განყოფილება

ცირკულიარი

რსსპ. სოციალური დაზღვევის სამმართველოში.

1926 წ.

ყველა დამზღვევ კასებს და პუნქტებს

„სოციალურ უზრუნველყოფის და განათლების სახალხო კომისარიატების იმ პენსიონერთათვის, რომელნიც იღებენ პერსონალურ პენსიას ან და პენსიას წელთა დამსახურების გამო, უფასო საექიმო დახმარების აღმოჩენის შესახებ"

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ა.-კ: სოცდაზღვევის საბჭოს 1926 წ. 30 იანვრის № 9 დადგენილების „იმ პირთა წრის შესახებ, რომელთაც უფლება აქვთ სოცდაზღვევის თანხების ანგარიშში ისარგებლონ უფასოთ საექიმო დახმარებით" მე-5-ე მუხლის დამატებით—რ. ს. დ. სამმართველო წინადადებას გაძლევთ იხელმძღვანელოდ ქვემოაღნიშნულით:

1. თანახმად ა.-კ. შრ. სახ. კომ. სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს პლენუმის 1926 წ. მაისის სხდომისა, სოციალური უზრუნველყოფის და განათლების სახალხო კომისარიატების იმ პენსიონერებს, რომელნიც იღებენ პერსონალურ პენსიას ან და პენსიას წელთა დამსახურების გამო უნდა აღმოეჩინოთ უფასო საექიმო დახმარება, იმის და მიუხედავათ, ეკუთვნიან თუ არა ისინი იმ პირთა წრეს, რომლებზედაც ვრცელდება სოცდაზღვევა.

რ. ს. დ. სამმართვ. უფროსის მოადგილე თუშიშვილი.

სამკურნალო ქვე-განყოფ. გამგე ხუტულაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 18 იანვარს, საღამოს 5 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება თბილისის ორგანიზაციის უჯრედების ბიუროების თათბირი. ქალთა საუჯრედო ორგანიზატორების თანდასწრებით.

დღის წესრიგშია: საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგის ამხ. არტიუხინის მოხსენება—პარტიის მორიგი ამოცანები ქალთა შორის მუშაობის დარგში.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. ნიკოლოზ ბუშკინს, მელქო ბერაძეს, ტატო გუჩმაზაშვილს, რომ სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ რაიკომის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ფეოდორ მაქსიმეს-ძე ბეჟანოვს და იოკიმ მიხეილის-ძე გავვას, რომ 18 იანვარს, დილის 9 საათზე გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან.

— საქართველოს ახალგ. ლენინური კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყებს კომკავშირის მე-10 მორიგ რაიონულ კონფერენციის ყველა დელეგატებს, რომ მანდატების გაცემა იწარმოებს რაიკომის შენობაში ყოველ დღე—შუადღის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ 18 იანვარს, საღამოს 6 საათზე რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება მე-2 საფეხურის პარტსკოლების ხელმძღვანელთა თათბირი.

ვინ არის წინააღმდეგი?

1-ლი ქარ. მსრ. ლეგიონის მე-2-რე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კ. პ. კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: პატარაია ბარნაბ გიორგისძე, ბოლქვაძე პარმენ ივანესძე, ნაჭყებია ტარიელ ილიასძე და მე-2-რე ასეულის მეთაური ამხ. სასანია თათოეზ ნიკოლოზისძე (უპარტიო), რომელიც თხოულობს კ. პ. კანდიდატად მიღებას.

თუ ვინმეს რამე აქვს ამ ამხანაგების საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ 15 დღის განმავლობაში 1-ლ ლეგიონის მე-2-რე კომუჯრედში.

მეუღლე ეკატერინე პავლეს ასული, შვილებით ელენე და ქეთევანით მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 17 იანვარს უეცრად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ექიმი ალექსანდრე ... ქუთათელაძე-...

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1288

მედსანშრომის პროფკავშირის საქართველოს ცენტრალური გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს კავშირის ყველა წევრებს, რომ 17 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვალა პატიოსანი და ენერგიული მუშაკი, ამავე კავშირის გამგეობის წევრი და ექიმთა სექციის რესპუბლიკანურ ბიუროს თავმჯდომარე

ექიმი ალიოშა იასონის-ძე ქუთათელაძე

1296

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება დამწუხრებულია იშვიათი თანამშრომლისა და სამაგალითო ამხანაგის

ექიმ ალექსანდრე იასონის ძე ქუთათელაძის

უეცრად გარდაცვალებით. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 20 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათ. ახალ ვერის სასაფლაოზე, გამოსვენება—საკ. ბინიდან პლეხანოვის პრ. № 55. ლ. ნ.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ელენე, დედ-მამა ეფროსინე და პავლე, და ვერა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სოფელ ნაწულიკიძეოში (ნახახულევის თემი) გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ვასილ პავლეს-ძე ჭალაღანია

რომლის დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 18 იანვარს. 1291

ღრმად დამწუხრებულნი: მშობლები დედა ელენე, მამა ვანო, ძმა პლატონი და დები ლოლა და თამარა ჩახნაშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ სოფ. მაშნაარში (სიღ. მაზრა) მოკლე ხნის ავადმყოფობით გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

მეთო ივანეს ასული ჩახნაშვილი

დაკრძალვა მოხდა შაბათს 15 იანვარს 12 საათზე. 1290

„საქართველოს აბრეშუმი"-ს ტრესტის მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 12 იანვარს საღამოს 9 საათზე, ქალ. ქუთაისში ვერაგულად ამოწყვეტილ იქნა „საქართველოს აბრეშუმი"-ს ტრესტის საუკეთესო თანამშრომლის და ძველი მეაბრეშუმის

პარაპეტ მესროპიანცის

ოჯახი: ცოლი, სიდედრი და ორი ბავშვი.

1298

აბრეშუმის მრეწველობის ტრესტის თანამშრომელთა ადგილკომი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 12 იანვარს, საღამოს 9 საათზე, ქ. ქუთაისში ვერაგულად ამოწყვეტილ იქნა „საქართველოს აბრეშუმი"-ს საუკეთესო თანამშრომლის და ძველი მეაბრეშუმის

პარაპეტ მესროპიანცის

ოჯახი: ცოლი, სიდედრი და ორი ბავშვი.

1297

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ალექსანდრა ზურაბის ასული, შვილები: ნიკოლოზ (კოლია), ივანე და რძალი ალექსანდრა (საშა) გრიგოლის ასული ამირალოვები შვილებით, ქალიშვილები: ბარბალე, (ბაბუცი) მარგარიტა, (რიტა) თავის შვილებით, და და მარიამ იაკობის ასული ამირალოვი, სიძეები: იოსებ იაკობის ძე ალიბეგოვი და იოსებ მოსეს ძე სანადირაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 17 იანვარს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გრიგოლ (გიგო) იაკობის ძე ამირალოვი

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, დაკრძალვა—ხუთშაბათს 20 იანვარს ნაშუადღევის 4 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარი ბინიდან—ბელინსკის ქუჩა № 39, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე კ.

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს 20 იანვარს ფრიდრიხ შილლერის

ვილჰელმ ტელ

დრამა 10 სურ. თარ. ს. შანშიაშვილის

მუსიკა: ჯიაკომო როსსინის.

დადგმა: დ. ანთაძის.

მხატვარი: ირ. გამრეკელი.

3—1 ნ. 505 სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 18 იანვარს, ცირკის ქალი

მონაწილ. ბოგოლეპოვა, ვიტინგი, მესნიაევი, და სხვ. დირიჟორი სტოლერმანი.

ოთხშაბათს, 19 იანვარს ოპერა „ბოკაჩიო"-ს გენერალური რეპეტიციის გამო წარმოდგენა არ იქნება

ხუთშაბათს, 20 იანვარს და შაბათს 22 იანვარს პრემიერა ბოკაჩიო

ქ. ა. მარჯანიშვილის დადგმით

ნ. 502

ცირკი ძმ. ტანტების

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.

დღეს, 18, და ხვალ, 19 იანვარს წარმოდგენა 3 განყ. 14 ნომრით

ფრედ მარიონის უკანასკნელი გამოსვლა. მხოლოდ 2 დღე—ოზოლი სიმფონია

ლეო ტანტის მუსიკალური სკეტჩი

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე. ტელ. 16—67

წაიკითხეთ აფიშები!!!

2—1 ნ. 503 დირექ—ფ. ქ. ტ ა დ ე. ადმინ. ხელმ. მ. ი. ტ ა დ ე.

მომხმარებელთათვის ზომიერ საბითუმო ფასებში

ყველა ხარისხის

ფქვილის მიწოდების მიზნით

საქ. სახელ. ვაჭრობის სამმართველომ

გახსნა ფარდულები (ЛАБАЗЫ)

№ 1 სადგურის ქ. № 2.

№ 2 19 თებერვლის ქ. № 80.

ფქვილის ყიდვა შეუძლია ყველას

2—1 ნ. 471

აპოლო | არფასტო | სოლეი | დარბაზი

მსოფლიო შედევრი

ჩვენი სტუმართმოყვარეობა

ბესტერ კიტონის მონაწ. შესვლა მხოლოდ სეანსობით.

გრძელდება მხატვრულ სურათის ჩვენება

სიურკუფ ზღვათა მბრძანებელი

ჟან ანჟელოს მონაწილეობით

პირველად თბილისში მხატვრული ფილმი ბურუსში

დოროტი დალტონის მონაწილეობით

ამერიკული კინო რომანი

ამერიკის მაცისტის ზეგა ტომასის თავგადასავალი

0—12 ნ. 419 1—2 სერია ერთად მზადდება ორი მონადირე

ახალის ხანში კინო თეატრებში აპოლო არფასტო სოლეი დარბაზი

საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათი

„ორი მონადირე"

რეჟისორი ა. რ. წუწუნავა

ოპერატორი ს. ...

სავალდებულო დადგენილება № 108

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტისა

ქ. თბილისი 1927 წ. იანვრის 15

ქალ. თბილისის ფარგლებში მომქმედ ყველა ქალაქ გარეთ არსებულ წარმომადგენლობათა სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის დეკემბრის 11 დადგენილებისა (ოქმი № 186, 8 ვ-ბ, მ. გ. ი. სახ. კომ. მუშაობის გეგმა 1926 | 27 წლისათვის, საგეგმო რუქა № 13 და სსრკ. მ. გ. ი. ცირკულიარული წერილი 1926 წლ. დეკემბრის 29 № 1592), რათა ცნობაში იქმნენ მოყვანილი თბილისის ფარგლებში მომქმედი ქალაქ გარეთ არსებული სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანოები. თბილისის მ. გ. და წ. ა. საბჭოების პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს გამოუკლებლივ ყველა ადგილობრივ (საქართველოს სსრ ავტონომიურ რესპუბლიკების, ოლქების, ქალაქების და სხვა ადგილების) და ამიერ-კავკასიის, საერთოდ საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკების, ოლქების, ქალაქების და სხვა ადგილების წარმომადგენლობებს, განყოფილებებს, სააგენტოებს, კანტორებს და სახელმწიფო ორგანოებს წარმომადგენელ კერძო პირებს (აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, კომუნალურ მეურნეობის საბჭოებს და სხ.) ყოველგვარ სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ, სამეურნეო, სავაჭრო-სამრეწველო, სატრანსპორტო, საალმშენებლო, კომერციულ და მსგავს ორგანიზაციებს, აგრეთვე იმ შერეულ სააქციო საზოგადოებებს, რომელშიაც უცხო კაპიტალი არ ურევია გატარდნენ რეგისტრაციაში ქ. თბილისის ფარგლებში იმ პირების პირად პასუხისმგებლობის ქვეშ, რომელნიც წარმომადგენლობათ სათავეში უდგანან.

2. რეგისტრაციაში გატარება და ანკეტების მიღება უნდა მოხდეს ორი კვირის ვადაში (ველიამინოვის ქუჩა № 7 აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება) შემდეგი წესით:

ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებიდან პირველი კვირის განმავლობაში რეგისტრაციაში უნდა გატარდენ სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული და სააქციო ორგანიზაციათა სავაჭრო და სავაჭრო-სამრეწველო წარმომადგენლობანი, ხოლო მეორე კვირის განმავლობაში ყველა დანარჩენები, რომელნიც აღნიშნულნი არიან § 1-ში.

3. ამ დადგენილებით შემოღებული წარმომადგენლობათა რეგისტრაციის წესი შეეხება ახლად დაარსებულთაც და ისინი აქ აღნიშნულ ცნობებს წარმოადგენენ ორი კვირის განმავლობაში დღიდან მათი დაარსებისა.

4. წარმომადგენლობათა რწმუნებულებმა, რომელნიც ანკეტის მისაღებათ და რეგისტრაციაში გასატარებლად გამოცხადდებიან რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტებით ერთად, როგორიცაა: წესდება, დებულება, ინსტრუქცია ან რწმუნება, რომლის ძალითაც წარმომადგენლობა მუშაობს, უნდა წარმოადგინონ შემდეგი წერილობითი ცნობები, პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პირის ხელმოწერით:

ა) წარმომადგენლობის სახელწოდების,
ბ) მისი ხელმძღვანელის სახელი, მამის სახელი და გვარის,
გ) მისამართის და ტელეფონის ნომრის,
დ) ხელობის, ვაჭრობის და წარმოების ხასიათის შესახებ.

5. ამ დადგენილების § 1 თანახმად მიღებული ანკეტები უნდა შევსებულ და წარდგენილ იქმნეს § 2-ში აღნიშნულ ადგილზე წესდებათა ან რწმუნების ქაღალდის ასლებთან ერთად არა უგვიანეს 7 დღისა მათი მიღების შემდეგ.

6. ამ დადგენილების აუსრულებლობისათვის დაწესდება პასუხისმგებლობა თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 121 და 232 მუხლისა.

თავმჯდომარე: სუხიშვილი.

მდივანი: ცქიტიშვილი.

ნ. 501

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ს. გავსოვიჩი

ამით აცხადებს, რომ 21 იანვარს 1927 წ. დილის 10 საათზე ჩერქეზიშვილის ქუჩ. № 93 საჯარო ვაჭრობით გაყიდის საწარმოვო შრომის არტელ „ნდობა"-ს მოძრავ ქონებას: კონიაკის დასამზადებელი აპარატი, სპილენძის „კალონკა", ორი გასაციებელი თეფში, სპილენძის ვედრო, ერთი საქაჩი, ფოლადის სალარო, საწერი მაგიდა, საწერი მანქანა, „შიფონიერკა" და სხვა, შეფასებულს 2320 მან. საქ. სახელ. ვაჭრობის სამმართლოს ვალის დასაკმაყოფილებლათ თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 22 მაისის 1926 წ. № 1548 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა და სხვა. 1283

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუტჩევი

ამით აცხადებს, რომ ის ბოგდან ბაგდასაროვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად 21 იანვარს 1927 წ. საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის 12 საათზე ვერის დაღმართზე, № 2—გედევან სოფრომაძის მოძრავ ქონებას—10 კუბოს, შეფასებულს 323 მანეთად; იმავე დღეს, 2 საათზე, 19 თებერვლის ქუჩაზე, № 48, ტარიელ სოფრომაძის მოძრავ ქონებას: 8 კუბო, სარკიანი შკაფი, ბუფეტი, კედლის სარკე, კედლის საათი და ხალიჩას, შეფასებულს 323 მანეთად. 1284

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ე ქ ი მ ი ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭით და ნაწლავებით ავადმყოფთა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. ქუჩა სანაპირო (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფ. № 15—02

ე ქ ი მ ი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბო-მონდი").

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი

ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი შ უ ხ მ ა ნ ი

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—1

ე ქ ი მ ი გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღებ. დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ე ქ ი მ ი ნ. ხეჩინოვი

დაბრუნდა რუსეთიდან ქუთაისში და განაახლა ავადმყოფების მიღება.

დაიკარგა პარტიის საკანდიდატო მანდატი № 4887 ამბროსი ერასტის-ძე შეყილაძის სახელზე, ჩ. გ. 1278

დაიკარგა ფულის ტალონი № 22 მიხეილ მაისურაძეს სახელზე, ჩ. გ. 1279

დაიკარგა სალექციო წიგნაკი № 221, მოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრ. ფაკულტეტიდან ვლადიმერ წერეთლის სახელზე, ჩ. გ. 1280

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, მოცემული მე-9 უბნის სამხედრო მაგიდის უფროსისაგან, ნოე ზაქარიას-ძე გურგენიძის სახელზე, ჩ. გ. 1281

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 9001 ოლღა გაბრიელის ასული ოდიშელიძის სახელზე, ჩ. გ. 1276

დაიკარგა სამთა-მადნო პროფკავშირის წიგნაკი № 5768, ა.ლ.კ.კ. კომკავშირის მოწმობა № 3030, მუშათა ფაკულტეტის მოწაფობის მოწმობა, მეტრიკული მოწმობა, გიორგი გველესიანის სახელზე, ჩ. გ. 1277

დაიკარგა ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოს 1926 წლის 15 სექტემბრის ბრძანება № 4135 ალექსანდრე გიორგის-ძე მასხარაშვილისაგან ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოებაზე 10.540 მან. 51 კაპ. მისჯის შესახებ და თვით თამასუქი ალექსანდრე გიორგის-ძე მასხარაშვილის ხელმოწერილი, რომელზედაც აღებული იყო ზემოხსენებული აღმასრულებელი ფურცელი, თამასუქი არისტო დავითის-ძის ბერიძის ხელმოწერილი 200 მან., ვინაობის უვადო წიგნაკი ინჟენერ ივანე დავითის-ძის ბერიძის მიერ მიღებული ქ. თბილისის მე-3 რაიონის კომისარიატიდან, პროფკავშირის საწევრო წიგნაკი ჭიათურის სამთამადნო პროფკავშირიდან, ჩ. გ. 1282

დაიკარგა პარტიული ბილეთი № 493926, გაცემული ლ. მამალაძის სახელზე, ჩ. გ. 1292

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 4047 ვასილ დავითის-ძე ახალბედაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1287

დაიკარგა სამხედრო საღრიცხო ბარათი № 1415, ვართან დოვლატოვის სახელზე, ჩ. გ. 1286

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1068 და დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 2709, ალექსანდრე დავითის-ძის წულუკიძეს სახელზე, ჩ. გ. 1294

დაიკარგა პირადობის მოწმობა, სამხედრო საღრიცხვო ფურცელი და მეტრიკული ამონაწერი მელიტონ ნიფარიძის სახელზე, ჩ. გ. 1295

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი, მოცემული გორის რაიონის სამხედრო მაგიდის მიერ დათიკო ალექსის-ძე ნერგაძის სახელზე, ჩ. გ. 1285